

ფერმერთა გზამკვლევი

ხეხილისა და კენკროვანების სახეობებისა და ჯიშების კატალოგი



თბილისი, 2019

Project name: Development of horticulture in Kakheti Region of Georgia

პროექტი: მეხილეობის განვითარება კახეთის რეგიონში



პროექტის ფარგლებში დაფინანსებული სანერგე მეურნეობები



1. რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გილე“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქ. გურჯაანი, შ. ნუცუბიძის ქ. #4; ტელ: 599 781445 - ჟოლო, მაყვალი, მარწყვი, მოცხარი
2. ინდივიდუალური მეწარმე „ვაჟა რუაძე“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუმლაყი, მე-17 ქუჩა #3; ტელ: 599 222599 - ბალი, ალუბალი, ქლიავი, გარგარი, ნუში, ვაშლატამა, ატამი, ლელვი, ბროწეული, წაბლი, ხურმა
3. ინდივიდუალური მეწარმე „ისაბალ სოლოლაშვილი“ - საქართველო, ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გავაზი; ტელ: 599 985082 - ბალი, ალუბალი, ქლიავი, ტყემალი, ალუჩა, ხურმა, ლელვი, ბროწეული,
4. ინდივიდუალური მეწარმე „დავით ახალბედაშვილი“ - ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი, ჩოლოყაშვილის ქ. 3; ტელ: 551 592131, 599 903085 - თხილი, ნუში, ბროწეული, ჟოლო, მაყვალი, ქლიავი, ხურმა, მარწყვი, ბალი, ლელვი, წაბლი.

მეხილეობის განვითარებისათვის კახეთის რეგიონი გამოირჩევა განსაკუთრებულად სახარბიელო ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. სხვადასხვა სახეობის ხილზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ხილის ბაზრის მოთხოვნილებების და ამ პროდუქციაზე მომხმარებლის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მეხილეობის სექტორის განვითარების მამოძრავებელ ძალას. კახეთის რეგიონში მეხილეობის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და დადებით შედეგს გამოიწვევს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ამ საკითხის განვითარების მიზნით, კახეთის რეგიონში ხორციელდება „მეხილეობის განვითარება კახეთის რეგიონში“, რომელიც ფინანსდება **HEKS/EPER**-ის მიერ.

პროექტის მიზანს წარმოადგენს:

კახეთის რეგიონის ხილის მწარმოებელი მცირე და საშუალო ფერმერების ცხოვრების დონის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობას, მცირე და საშუალო მეურნეობებში წარმოებისა და რენტაბელობის ამაღლებით; რაც გამოიხატება:

1. თანამედროვე ტიპის მეხილეობის საკითხებში ცოდნის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდაში;
2. თანამედროვე ტიპის ჯიშების და ნერგების ხელმისაწვდომობის გაზრდაში;
3. ფერმერთა ჯგუფების უკეთ ორგანიზებაში და საბაზრო კავშირების დამყარებაში ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში:

დღეისათვის ყვარლის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში შექმნილია თანამედროვე ტიპის ხეხილის 4 სადედე ბაღი და სანერგე მეურნეობები. გაშენებულია: ბლის, ალუბლის, ქლიავის, ტყემლის, ალუჩის, გარგარის, ნუშის, ხურმის, ატმის, ვაშლატამას, ბროწეულის, თხილის, ჟოლოს, მაცვლის და მოცხარის სხვადასხვა ჯიშების სადემონსტრაციო ბაღები. გაკეთებულია ამავე კულტურების სანერგე მეურნეობები. სანერგე და საძირე მასალა შემოტანილია თურქეთიდან.

ნერგის მწარმოებლებისათვის, რეგიონში მეხილეობით დასაქმებულთა და დაინტერესებულ ფერმერებისათვის სისტემატიურად ტარდება თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები მეხილეობის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე.

ჩატარებულია (და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება) სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საკონსულტაციო სამსახურების და ფერმერთა მომსახურების ცენტრების გადამზადება მეხილეობის საკითხებში, რათა მათ გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია და სრულფასოვანი კონსულტაციები გაუწიონ კახეთი მეხილეობით დასაქმებულ მოსახლეობას.

ხილის მწარმოებელი ფერმერებისათვის ახალი სტაბილური ბაზრების მოძიების მიზნით დაგეგმილია მათი დაკავშირება ხილის შემსყიდველ, შემნახველ და გადამამუშავებელ კომპანიებთან.

ატამი ვაშლათამა



ატამი / ვაშლატამა

(ლათ. Prunus persica) - ხეხილოვანი მცენარეა ვარდისებრთა

ოჯახის. ატმის სამშობლოა ჩინეთი, ატმის 5 ათასამდე კულტურული ჯიშია

გამოყვანილი. მცენარეებისად ყველაზე მეტად ენათასავება ნუში, რომლისგანაც ძირითადად განსხვავდება ნაყოფით. ატმის ხე ან ბუჩქი იზრდება 7-8 მ-მდე, ფოთოლი ლანცეტისებრია, ორსქესიანი ყვავილის გვირგვინის ფურცლები ვარდისფერი ან აგურისფერია, ნაყოფი (ჯიშების მიხედვით) სხვადასხვა სიმსხოსია, წონით 250 გ აღწევს. ატმის ნაყოფი სახრავე ან საპობია, კანი მომწვანო, თეთრი, ყვითელი ან მოწითალოა. იგი შებუსული ან გლუვია (ვაშლატამა). რბილობი თეთრი ან ყვითელი. შეიცავს (%-ით) 7-12 შაქარს, 0,08-1,02 მჟავებს, 0,5-1,2 პექტინოვან ნივთიერებას, ვიტამინებსა და სხვა. ნაყოფი (ჯიშების მიხედვით) ივნისიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მწიფდება. მცირე ნაყოფს იძლევა დარგვიდან მეორე წელს, მე-5 წლიდან სრულმოსავლიანია. ცოცხლობს 15-16 წლამდე. სითბოს მოყვარული, სიციხისა და გვალვის ამტანი მცენარეა. კარგად და ხანგრძლივად ხარობს ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებზე. მისი გავრცელების არეალი დაახლოვებით ჩრდილოეთის განედი 50° და სამხრეთის განედი 40° აღწევს. ატმის კულტურას სამრეწველო მნიშვნელო აქვს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოში დარაიონებულია ატმის 11 ჯიში, აქედან ქართლის ზონისათვის ხალხური სელექციით შექმნილი საკონსერვო და სუფრის მსხვილნაყოფიანი, მკვრივხორციანი სახრავე ჯიშებია: **ხიდისთაური** - ვარდისფერი, თეთრი, ყვითელი - ბერების. კახეთის ადგილობრივი ჯიშებიდან ფართოდაა გავრცელებული საშემოდგომო **კახური თეთრი, გავაზური, ხირსული**. ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს საკონსერვო საგვიანო ატმის ახალი ჯიშები: **ბესტავაშვილი და წედისური**, აგრეთვე საადრეო სუფრის ჯიშები: **ნობათი, ერისთავის ვარდისფერი, გორული საადრეო, სკრის საადრეო, სანდო**. სამირედ იყენებენ ატმის, ტყემლისა და ნუშის ნათესარს. ატმისაგან მზადდება ჩირი, მურაბა და კომპოტი. ატამს ყველაზე მეტად აზიანებს ატმის ფოთლის სიხუჭუჭე, ნაცარი, კლასტეროსპოროზი, კურკოვანთა ნაადრევი ხმობა; მავნებლებიდან - ატმის მწვანე ბუერი, ატმის ჩრჩილი.

ვაშლატამა - შეუბისავი ატმების ჯგუფია. ცნობილია ასევე ნექტარინების სახელით. უკანასკნელ წლებში საქართველოში მიიღო სამრეწველო დანიშნულება. ჯგუფი მოიცავს მრავალ ჯიშს. ნაყოფი ლამაზია, გლუვკანიანი; რბილობი - თეთრი ან ყვითელი, აქვს შეზრდილი ან თავისუფალი კურკა.

ჯიშების დახასიათება:



ზოგჯერ ნისკარტით.

ჯიში - თეთრი კახური, გურჯაანის თეთრი სახრავე

წარმოშობა: ადგილობრივი ჯიშია, გვხვდება გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში

მოკლე აღწერა:

- ✓ **ხის ზრდის სიძლიერე:** საშუალო ზრდის.
- ✓ **ხის ფორმა:** მრგვალი.
- ✓ **ყვავილობის პერიოდი:** საშუალო.
- ✓ **ნაყოფის ფერი:** ძირითადი ფერი-თეთრი.
- ✓ **ნაყოფის ფორმა:** მრგვალი ფორმის, ღარი სუსტად ემჩნევა,

- ✓ ნაყოფის ზომა: მსხვილი. საშუალო მასა 160-180გრ. შებუსვა – დაბალი.
- ✓ რბილობი: თეთრი, საკმაოდ წვნიანი, კურკა რბილობს არ სცილდება.
- ✓ სიმწიფისა და მოხმარების პერიოდი: მწიფდება და იკრიფება სექტემბრის ბოლოს (კახეთი).
- ✓ დაავადებების მიმართ გამძლეობა: საშუალო.
- ✓ საგემოვნო თვისებები: კარგი, ოდნავი სიმჟავით.
- ✓ დღევანდელი მდგომარეობა: გვხვდება ერთეული ხეების სახით.
- ✓ დამატებითი ინფორმაცია: საგვიანო მსხვილნაყოფა ჯიშია.



ჯიში - სკრის საადრეო

წარმოშობა: ადგილობრივი სელექციური ჯიშია, მიღებულია თ. ცერცვაძის მიერ, 1951 წელს. ხიდისთაური ვარდისფერი #18 X გრინსბოროს შეჯვარებით.

მოკლე აღწერა:

- ✓ ხის ზრდის სიძლიერე: ძლიერი ზრდის.
- ✓ ხის ფორმა: მომრგვალო-პირამიდული.
- ✓ ყვავილობის პერიოდი: საშუალო-საგვიანო.
- ✓ ნაყოფის ფერი: ძირითადი ფერი-ღია ყვითელი. შებუსვა – სუსტი.

- ✓ ნაყოფის ფორმა: მრგვალი ფორმის.

- ✓ ნაყოფის ზომა: საშუალო. მასა 120-140 გრამი.
- ✓ რბილობი: თეთრი, მკვრივი, წვნიანი, კურკა რბილობს არ სცილდება
- ✓ სიმწიფისა და მოხმარების პერიოდი: მწიფდება და იკრიფება ივლისის ბოლოს-აგვისტოს დასაწყისში (შიდა ქართლის პირობებში).
- ✓ დაავადებების მიმართ გამძლეობა: მაღალი.
- ✓ საგემოვნო თვისებები: გამორჩეულად კარგი.
- ✓ დღევანდელი მდგომარეობა: გვხვდება ერთეული ხეების სახით.
- ✓ დამატებითი ინფორმაცია: ადრეული სიმწიფის ტრანსპორტაბელური ჯიშია.



ჯიში - კახური ყვითელი

წარმოშობა: ადგილობრივი ჯიშია, გვხვდება კახეთის მუნიციპალიტეტებში.

მოკლე აღწერა:

- ✓ ხის ზრდის სიძლიერე: საშუალო ზრდის.
- ✓ ხის ფორმა: პირამიდული.
- ✓ ყვავილობის პერიოდი: საშუალო, ვარდისებრი ტიპის ყვავილებით.

- ✓ ნაყოფის ფერი: ძირითადი ფერი – ყვითელი, ზედაპირის დიდი ნაწილი დაფარულია ალისფერით.

- ✓ ნაყოფის ფორმა: მრგვალი ფორმის, სიმეტრიულად განვითარებული.

- ✓ ნაყოფის ზომა: მსხვილი. საშუალო მასა 160 – 180გ. შებუსვა – დაბალი.
- ✓ რბილობი: ყვითელი, წვნიანი, კურკა რბილობს არ სცილდება.
- ✓ სიმწიფისა და მოხმარების პერიოდი: მწიფდება და იკრიფება სექტემბრის მე-3 დეკადაში (კახეთი).
- ✓ დაავადებების მიმართ გამძლეობა: მაღალი.
- ✓ საგემოვნო თვისებები: კარგი, ტკბილი.
- ✓ დღევანდელი მდგომარეობა: გვხვდება ერთეული ხეების სახით.
- ✓ დამატებითი ინფორმაცია: ტრანსპორტაბელურია და კარგად ინახება.

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



ჯიში - მონრეო

წარმოშობა: აშშ. ძალიან მაღალ მოსავლიანი. ნაყოფი საკმაოდ დიდი ზომისაა, ტკბილი, წვნიანი და მაღალი ხარისხის. ფერი: წითელი, ყვითელ ფონზე. კრეფის პერიოდი: აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის 15-მდე.

სანერგეებში არსებული „მონრეოს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - კრესტავენი

წარმოშობა: აშშ. მაღალ მოსავლიანი. ნაყოფი მსხვილი ზომისაა, მაღალი გემური თვისებების, წვნიანი და მაღალი ხარისხის. ფერი: წითელი, ყვითელ ფონზე. კრეფის პერიოდი: აგვისტოს 15-დან თვის ბოლოდან.

სანერგეებში არსებული „კრესტავენის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - ვენუსი

წარმოშობა: იტალია. ძალიან მაღალ მოსავლიანი. ნაყოფი დიდი ზომისაა, საკმაოდ ტკბილი, საშუალოდ წვნიანი და ხარისხიანი. გამძლეა შენახვისას, მისი შენახვა ხანგრძლივი პერიოდით

შესაძლებელია საწყობ-მაცივრებში სხვა ჯიშებზე მატ ხანს. მწიფდება აგვისტოს მეორე კვირიდან და კრეფა სრულდება 10-12 დღეში.

სანერგეებში არსებული „ვენუსის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Bing Bang

ჯიში - ბიგ ბენდი

საადრეო ჯიშია. წარმოშობა: ამერიკა. მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო სიდიდისაა, ძალიან გემრიელი, არომატული. ნაყოფის ფერი: წითელი ყვითელ ზედაპირზე. მოსავლის კრეფა იწყება ივნისის 10-სათვის და გრძელდება 10-12 დღის განმავლობაში..

სანერგეებში არსებული „ბიგ ბენდის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Italian Nectarine

ჯიში - იტალიური ვაშლატამა

ვაშლატამა, გამოყვანილია კალიფორნიაში, ხე საშუალო ან საშუალოზე ძლიერი ზრდისაა, მსხმოიარობაში შედის მე-3-4 წელს, მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო სიდიდისაა მრგვალი ფორმის, კანი სქელი, მკვრივი, შეუბუსავი, რბილობს მწლად სცილდება. ძირითადი შეფერვა მოვარდისფრო - ყვითელი. რბილობი ნაზი კონსისტენციისა, წვნიანი, გემრიელია და აქვს სასიამოვნო არომატი. პერსპექტიული ჯიშია, ფართოდ ინერგება უკანასკნელ წლებში.

იკრიფება ივნისის დასაწყისში.

გარგარი



გარგარი

(ლათ. Prunus armeniaca) - ხეხილოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახის.

ხის სიმაღლე 15 მ აღწევს. ფოთოლო ელიფსური ან განიერკვერცხისებრია; ყვავილი თეთრი ან ვარდისფერი და ფოთოლზე ადრე იშლება. ნაყოფი კურკიანია, ხორციანი ან მშრალი; აქვს ხავერდოვანი, იშვიათად გლუვი კანი.

გარგარი სინათლისა და სითბოს მოყვარული, გვალვამტანი მცენარეა. კარგად ხარობს ალუვიურ-კარბონატულ მსუბუქ ნიადაგებზე. მოსავალს იძლევა მცნობიდან მესამე-მეოთხე წელს. ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში მოსავლიანობა ყოველწლიურად 8 – 12 ტონა 1 ჰა-ზე. გარგარი კულტივირებულია ჩრდილოეთ ინდოეთში, ირანში, ჩინეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში. გარგარის ნაყოფი შეიცავს შაქრებს (4-20 %), ვაშლის, ლიმონისა და სხვა მჟავებს; პექტინოვანი ნივთიერებებს (0,38-1,27 %), კაროტინს (10 მგ-მდე); თესლი - 29-58 % ცხიმს. იყენებენ ნედლად, ჩირად და დაკონსერვებულს (კომპოტი, წვენი და სხვა).

საქართველოში გარგარს კურკოვან კულტურათა ნარგაობის 4 % უკავია. გავრცელებულია უმთავრესად კახეთსა და ქართლში. დასავლეთ საქართველოში ჭარბი ტენის გამო ნაკლებად ხარობს. დარაიონებული ჯიშებია: შალახი, ქართული ალჯანაზადი, ალიპრიალა (ხალხური სელექციით შექმნილი ადგილობრივი ჯიში). გარგარის დაავადებებია: კლასტეროსპრიოზი, ბაქტერიული კიბო, ნაცრისფერი სიდამპლე; მავნებლებია: ცხვირგრძელები და პეწიანები.



Shalakh

ჯიში - შალახი

წარმოშობა: სასომხეთი. სომხური გარგარი - ხეხილოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახისაა. ხის სიმაღლე 3-5 მ აღწევს. ფოთოლი ელიფსური ან განიერკვერცხისებრია; ყვავილი თეთრი ან ვარდისფერი და ფოთოლზე ადრე იშლება. ნაყოფი კურკიანია, ხორციანი ან მშრალი; აქვს ხავერდოვანი, იშვიათად გლუვი კანი. გარგარი სინათლისა და სითბოს მოყვარული, გვალვამტანი მცენარეა. კარგად ხარობს ალუვიურ-კარბონატულ მსუბუქ ნიადაგზე. მოსავალს იძლევა მცნობიდან მესამე-მეოთხე წელს. ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში

მოსავლიანობა ყოველწლიურად 8-12 ტონა 1 ჰა-ზე.

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Roxana

ჯიში - როქსანა

სუფრის ჯიშის ნაირსახეობაა. ნაყოფი: დიდი და საშუალო ზომისაა. ფერი: მუქი ნარინჯისფერი-მოწითალო ყვითელ ფონზე. შენახვისას ესაჭიროება დაბალი ტემპერატურა. ყინვაგამძლეა. ტენის მოყვარულია. საკმაოდ ტკბილი ნაყოფით და კურკის გულით. მწიფდება ივლისის ბოლო კვირას.

სანერგეებში არსებული „როქსანას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ჯიში - ტოკალ-ოგლუ



Tokal-oglu

სუფრის ჯიშის ნაირსახეობაა. ნაყოფი: დიდი, რბილი, უზომოდ წვნიანი და ტკბილია, სასიამოვნო სუნით. ფერი: მოთეთრო-მოყვითალო, ალაგ-ალაგ ბაცი წითელი შეფერილობით. საკმაოდ ტკბილი კურკის გულით. მოსავლის აღება ტარდება ივნისის შუა რიცხვებში.

სანერგეებში არსებული „ტოკალ-ოგლუს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ჯიში - სეკერპარე



Şekerpare

სუფრის ჯიშის ნაირსახეობაა. ნაყოფი რბილია, ძალიან ტკბილი და არომატულია. ფერი: მოყვითალო-ნარინჯისფერი, იკეთებს წითელ ლოყას. კურკის რბილობი ტკბილია. მწიფდება ივნისის მეორე კვირას.

სანერგეებში არსებული „სეკერპარეს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ჯიში - ვიტოლო



Vitillo

მაღალ მოსავლიანი ჯიშია. საკმაოდ დიდი ზომის ნაყოფით, საშუალოდ წვნიანი, მაღალი გემური თვისებებით და არომატით. ხანგრძლივი შენახვის პერიოდით. მწიფდება ივნისის ბოლო კვირას.

სანერგეებში არსებული „ვიტილოს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - ტირინფოსი

ერთ-ერთი ყველაზე საადრეო ჯიშია. ზოგადად ხასიათდება თვითდამტვერვის თვისებებით. მაღალ ნაყოფიერია. საშუალოზე დიდი ზომის ნაყოფები, ფერი: ხასხასა წითელი ლაქები ქარვისფერ-ყვთელ ფონზე. ნაყოფი დიდი რაოდენობით შაქარს შეიცავს და ამიტომ ეს ჯიში საუკეთესოა საჩირედ. მოსავლის კრეფა იწყება ივნისის დასაწყისში და გრძელდება 2-3 კვირის მანძილზე.

სანერგებში არსებული „ტირინფოსის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ბაღი ალუბაღი



ბალი

(ლათ. Prunus avius) - კურკოვანთა გვარის ხეხილოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა. ხე ინტენსიურად იზრდება (სიმაღლე 15-20 მ-მდე), აქვს მორიგეობით განლაგებული ტოტები და სწორი, მაღალი შტამბი. ფოთოლი მაგრძო ელიფსური ფორმისაა, ყვავილი თეთრი, ქოლგებად შეკრებილი; ნაყოფი კურკიანია - მომრგვალო ან გულისებრი, სხვადასხვა შეფერილობის (ყვითელი, ვარდისფერი, წითელი და შავი).

ნაყოფის რბილობი წვნიანია, კურკას ცუდად ეცლება და სიმკვრივის მიხედვით იყოფა ბიგაროებად (მკვრივი რბილობი) და გინებად (ნაზი რბილობი). ამ უკანასკნელს განეკუთვნება უმთავრესად საქართველოში გავრცელებული ბლის ადგილობრივი ჯიშები. ბალს მყნობით ამრავლებენ (ამონაყარს არ იძლევა; გამონაკლისია ქართული ბალი), საძირებად იყენებენ ბალმწარას, ბალლოჯასა და ბლის კულტურული ჯიშების თესლნერგებს.

ბალი კულტივირებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. საქართველოში ბალი გავრცელებულია მეხილეობის ყველა რაიონში და კურკოვანი კულტურების ნარგავების 42 %-ს შეადგენს. იგი ზომიერი კლიმატის, სინათლის მოყვარული მცენარეა. მაღალხარისხოვან მოსავალს იძლევა ნემომპალა-კარბონატულ და ლამიან ნიადაგებზე. ხელსაყრელ პირობებში ყოველწლიურად მსხმოიარობს, საშუალო მოსავლიანობა 50-60 ც/ჰა-ზეა.

ბალი საადრეო ხილია (მწიფდება მაისსა და ივნისში), ნაყოფი შეიცავს 10-15 % შაქარს (გლუკოზა, ფრუქტოზა, ნაკლებად საქაროზა), 0,2-1,1 % მჟავას (უმთავრესად ვაშლისას), C ვიტამინსა და კაროტინს. იყენებენ სუფრის ხილად, კომპოტის, ბურაბისა და წვენის დასამზადებლად. საქართველოში ფართოდაა ცნობილი **ნაპოლეონის ვარდისფერი, მარკის ადრეულა, დროგანის ყვითელი**, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშები - **ჭოპორტულა, კახაბელა, მუძუბალი**. დარაიონებული ჯიშებია: **თათრული შავი, ხარისგულა და დროგანის ყვითელი**. ეს უკანასკნელი უზემოსავლიანი, საკმაოდ ყინვაგამძლე, საკონსერვო დანიშნულების საგვიანო ჯიშია და საქართველოში გავრცელების მიხედვით ბლის ნარგაობის 40 %-მდე უკავია. ბალი ავადდება გომოზით, ნაყოფის სიდამპლით. მავნებელთაგან აზიანებს ალუბლის ბუზი, ალუბლის ბუფრი და რინქიტი.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Early Lory

ჯიში - საადრო მსხვილი

მაღალმოსავლიანი. ნაყოფი საშუალო ზომისაა დაბალ სქელ ღეროზე, საშუალოდ წვნიანი, მაღალი გემური თვისებების. ნაყოფის ფერი: მუქი წითელი. კარგად ხარობს სამხრეთ რეგიონების პირობებში. მოსავლის უმრავლესობა ერთდროულად მწიფდება. იკრიფება: მაისის მესამე კვირას მაქსიმუმ 1კვირის განმავლობაში. დამამტვერიანებელი ჯიში: Bigarreau და Gaucher.

სანერგეებში არსებული „საადრო მსხვილის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Ziraat

ჯიში - ზირაატ 0900

ძალიან მაღალმოსავლიანია. ნაყოფი დიდი ზომისაა, გულისებრი ფორმის, მკვრივი, ხრამუნა, ტკბილი და გემრიელი. ფერი: ღია წითელი. ალუბლის პირველი ჯიშია, რომელიც გამოყვანილია ხელოვნური განაყოფიერების გზით. მოსავლის კრეფა ტარდება ივნისის 20-დან მაქსიმუმ 5 ივლისამდე. დამამტვერიანებლად გამოდგება ნებისმიერი ალუბალი, რომელიც იმ დროს წვავილობს.

სანერგეებში არსებული „ზირაატ 0900-ის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Early Burlat

ჯიში - საადრო ბურლატი

საადრო ჯიშია, ძალიან მაღალ მოსავლიანი. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მკვრივი, წვნიანი და ხრამუნა. ნაყოფის ფერი: ალაგ-ალაგ ღია და მუქი წითელი - მუქი წითელი ფონი იფარება დიდი ღია ფერის ლაქებით. გამძლეა ბაქტერიული დაავადებებისა და ნაყოფის ნახეთქების დაფარვისადმი. იკრიფება: მაისის მესამე კვირას მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში. დამამტვერიანებლები: Van, Bing an Metron Premier.

სანერგეებში არსებული „საადრო ბურლატის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Regina

ჯიში - რეგინა

ერთ-ერთი ყველაზე მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფები ძალიან დიდი ზომისაა, წვნიანი, მკვრივი და მიმზიდველი. ნაყოფი შეფერილი შავად. მოსავლის კრეფა ტარდება ივლისის პირველ ნახევარში. დამამტვერიანებლები: Lambert and Starks Gold.

სანერგეებში არსებული „რეგინას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის

მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Early sweet

ჯიში - საადრეო ტკბილი

ძალიან საადრეო ჯიშია. ნაყოფი დიდი ზომისაა, წვნიანი, უმაღლესი ხარისხის, ძალიან არომატული. ფერი: მეწამული წითელი. მოსავლის კრეფა ხდება მაისის პირველი დეკადიდან, თითქმის 1 თვის განმავლობაში. დამამტვერიანებლები: Merton Slava and Nuir de Guben.

სანერგეებში არსებული „საადრეო ტკბილის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის

მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Early Star

ჯიში - საადრეო ვარსკვლავი

წარმოშობის ქვეყანა: იტალია. მცენარე სწრაფად მზარდია. საშუალოდ საადრეო ჯიშია. მაღალ მოსავლიანია. თვით დამტვერვის უნარით. ნაყოფი დიდი ზომისაა, მუქი წითელი. ნაყოფის რბილობი ვარდისფერია, კურკასთან გაწითლებული. მაღალ ხარისხიანია, წვნიანი. მოსავლის კრეფა ხდება მაისის 10-დან თვის ბოლომდე.

სანერგეებში არსებული „საადრეო ვარსკვლავის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის

მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ალუბალი

(ლათ. Prunus cerasus) - მერქიანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახის კურკოვანთა გვარის. აქვს მორიგეობით განლაგებული ფოთლები, თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები, შეკრებილი ქოლგა ყვავილედად. ნაყოფი წვნიანი კურკიანი.

ალუბალი ყინვაგამძლეა, ადრემსხმოიარე (მოსავალს იძლევა დარგვიდან მესამე-მეოთხე წელს). ყოველწლიურად მაღალ მოსავლიანი (დაახლოებით 10 ტ/ჰა-ზე). ალუბლის ნაყოფი გემრიელია, შეიცავს 7,3-15,5 % შაქარს, 0,8-2,4 % მჟავას, 0,15-0,88 % მრთრიმლავ ნივთიერებას. იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (მურაბა, ჯემი, კომპოტი, ნაყენი, საკონდიტრო ნაწარმი). ალუბალი გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ბევრ ქვეყანაში. საქართველოში გვხვდება ზღვის დონიდან 1600 მ-მდე. ვარაუდობენ, რომ ალუბალი წარმოიშვა ბლისა და ქონდარა ბალმწარას ბუნებრივი შეჯვარებით. კულტურულ ფორმებში განასხვავებენ 2 ჯგუფს - ბუძქოვანსა და ხისებრს. ბუძქოვანთა ნაყოფი მუქი ფერისაა, თითქმის შავი (ასეთ ნაყოფს მორელი ანუ გრიოტი ეწოდება). ცნობილია მათი გავრცელებული ჯიშები - ვლადიმირისა, ლიუბსკაია და სხვა. საქართველოში კულტივირებულია ესპანურა, ვლადიმირისა და ლიუბსკაია. დარაიონებულია - ქართული ალუბალი და პოდბელსკი.

ალუბალს ამრავლებენ თესლით, ფესვის ამონაყარით და საძირეზე მცნობით. კარგად ხარობს ალუვიურ-კარბონატულ და თიხნარ ნიადაგებზე. ალუბლის მავნებელია: ალუბლის ხერხია, ალუბლის ხვატარი, ალუბლის ბუზი. დაავადებებია: ნაყოფის სიდამპლე, კლასტეროსპორიოზი, ვერტიცილიოზი.

ჯიშების დახასიათება:



ჯიში - ჰორტენზია

გამოყვანილია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ბლისა და ალუბლის შეჯვარებით. ეკუთვნის ხე-ალუბლების ჯგუფს. ხასიათდება ძლიერი ზრდით. საჭიროებს ჯვარედინ დამტვერვას. ყვავილობს მარტის მეორე ნახევარში. მწიფდება მაისის მეორე ნახევარში, მოიხმარება სასუფრედ. ნაყოფი მსხვილი, გარეგნობით ბალს წააგავს. გემოთი ალუბალს. ყუნწი გრძელია. კანი თხელი, ნაზი, მზრწყინავი ზედაპირით, ნაყოფს აქვს მუქი წითელი შეფერილობა. რბილობი მოყვითალო-ვარდისფერი, მდნარი, წვნიანი, მოტკბო-მომჟავო საუკეთესო გემოთი. კურკა მსხვილი, რბილობი კარგად ეცლება. ბუნებრივ პირობებსა და მოვლას მოითხოვს.

ქლიავი



ქლიავი (ლათ. Prunus domestica) – კურკოვანთა გვარის საშუალო სიმაღლის ხე ვარდისებრთა ოჯახისა. იკეთებს წყვილ-წყვილად განლაგებულ ყვავილებს და გრძელყუნწიან, კურკიან, მომჟავო-ტკბილ ნაყოფს.

ქლიავი არის სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარული, ყინვაგამძლე კულტურა, იგი იტანს 20-25°C ყინვას. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვა ხილთან (ვაშლი, მსხალი) შედარებით დაბალია და არ აღემატება 45-60 წელს. ახალგაზრდა ასაკში ძლიერ იზრდება, ხოლო მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ზრდის პროცესი შენელებულია.

მცენარე ძირითადად ჯვარედინული დამტკვერვით ხასითდება, თუმცა აღინიშნება თვითდამტკვერვის შემთხვევებიც. ნაყოფი მსხმოიარობს ერთწლიან ტოტებზე, დეზებზე და სანაყოფე თაიგულებზე. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მესამე წელს, ხოლო სრულ მსხმოიარობას აღწევს 5-6 წლის ასაკში და საჰექტარო მოსავლიანობას აღწევს 15-17 ტ/ჰა-ზე.

ჯიშების დახასიათება:

სამრეწველო დანიშნულებით გამოირჩევა შინაური ქლიავი და ჩინურ-იაპონური სახეობები. ყველაზე მეტად ნაყოფის შეფერილობითა და ფორმის მიხედვით განასხვავებენ ქლიავის შემდეგ სახეობებს: **უნგრულები** — მუქლურჯად შეფერილი, მოგრძო თავში და შევიწროებული ბოლოში. გავრცელებული ჯიშებია: სტენლი, შავქლიავა, იტალიურ-უნგრულა.

რენკლოდები — მომწვანო მოყვითალო, მრგვალი ნაყოფებით. გავრცელებული ჯიშებია: ალტანის რენკლოდი და მწვანე რენკლოდი.

კვერცხისებრი ქლიავები — მსხვილი კვერცხისებრი ფორმის ყვითელი ან წითელი ნაყოფებით, ამათგან გავრცელებული ჯიშებია: ვაშინგტონი და ჯეფერსონი.

ყველა ეს ჯიში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისა და მოვლის პირობებში ხარობს თითქმის ყველგან, სადაც ხარობს ქლიავის რომელიმე ჯიში.



ჯიში - ქლიავი ატმისებური

ქლიავი საინტერესოა თავისი მსხვილი, ლამაზი ადრეულა სიმწიფის ნაყოფით. ნაყოფი გემოთი არ არის მაღალი ხარისხის, მაგრამ საუკეთესო პროდუქციას წარმოადგენს კომპოტისთვის. „ატმისებური“, ცნობილია როგორც ადრეულა სიმწიფის ქლიავი.ხე ხასიათდება ძლიერი ზრდით, ინვითარებს გაშლილ მრგვალ ვარჯს. ხე საკმაოდ გამძლეა ყინვისადმი. ფოთოლი მსხვილი, ოვალური ფორმისაა, შემრგვალებული წვეროთი, მუქი მწვანე ფერისაა, შებუსვილი, კიდე ორმაგადაა დაკბილული. ყვავილობა საშუალო პერიოდისა აქვს.

ახასიათებს საშუალო მოსავლიანობა. ნაყოფი მსხვილია (4,5X4,7X4,6 სმ.), საშუალოდ 1 ნაყოფი 41 გრამს იწონის, მომრგვალო ფორმისაა, ბრტყელი და განიერი ფუძით და ბოლოთი. ნაყოფზე ღარი არ არის ღრმა. ნაყოფის კანი სქელია, დაჩრდილულ ადგილებზე შეფერვა მოწითალო ან მუქი წითელი აქვს,

Project name: Development of horticulture in Kakheti Region of Georgia

პროექტი: მეხილეობის განვითარება კახეთის რეგიონში

დაფარულია წვრილი თეთრი წერტილებით. კანი დაფარულია ლამაზი ცვილისებრი მკრთალი ფერის ფიფქით. ნაყოფის ხორცი ყვითელი ფერისაა, მკვრივი, მარღვიანი, საკმაოდ წვნიანი, მოტკბო-მჟავე გემოს

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Stanley

ჯიში - სტენლი

მაღალმოსავლიანი ჯიშია. მსხმოიარობს რეგულარულად. ნაყოფი საშუალო სიდიდისაა, საშუალოდ წვნიანი, საკმაოდ ნაზი. ნაყოფის ფერი: მოლურჯო-მოიისფერო. მოსავლის აღება ხდება აგვისტოს 25-დან 2 კვირის განმავლობაში

სანერგეებში არსებული „სტენლის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის

რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Santa Rosa

ჯიში - სანტა როსა

რეგულარული მსხმოიარობის ჯიშია, არ ახასიათებს მეწლეურობა. ნაყოფი საშუალო ზომისაა, წვნიანი, ტკბილი და ძალიან არომატული. ნაყოფის ფერი: მოწამური წითელი. მოსავლის აღება ტარდება ივლისის 2-3 კვირებში. დამამტვერიანებლები: Formosa და Wickson-ს ჯიშებია.

სანერგეებში არსებული „სანტა როსას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის

რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Ozark Premier

ჯიში - ოზარკ პრემიერი

ჯიში გამოსადეგია როგორც სასუფრედ, ასევე საჩირედ. ნაყოფი საშუალო სიდიდისაა, ტკბილი და წვნიანი. ნაყოფის ფერი: მწვანე - მუქი იისფერი შეფერილობით. სამაცივრე მეურნეობაში ინახება 2 თვემდე. თვითდამტვერვითი ჯიშია. თუმცა სხვა დამამტვერიანებლების გამოყენებით, გამოირჩევა ნაყოფის შენარჩუნების ზრდით. მოსავლის აღება ტარდება 5 სექტემბრიდან 2 კვირის მანძილზე. დამამტვერიანებლები: Stanley.

სანერგეებში არსებული „ოზარკ პრემიერის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - შავი ბრილიანტი

მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, ხრამუნა, წვნიანი, ტკბილი და არომატული. ნაყოფი მუქი იისფერ-შავი ფერისაა. როდესაც მწიფდება იფარება წინწკლებით. მოსავლის აღება: ივლისი ბოლო კვირა - აგვისტოს პირველი კვირის ჩათვლით. დამამტვერიანებლები: Friar and Santa Rosa.

სანერგეებში არსებული „შავი ბრილიანტის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - ფორმოზა

მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, ხრამუნა, წვნიანი, ტკბილი და არომატული. მაღალხარისხიანი საკვებია. ფერი: მოწითალო მომწვანო-ყვითელ ფონზე. მოსავლის აღება ხდება ივლისის 20-დან აგვისტოს 10-მდე. დამამტვერიანებლები: Wickson and Santa Rosa.

სანერგეებში არსებული „ფორმოზას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - შემოდგომის გიგანტი

ძალიან მაღალ მოსავლიანი და მაღალხარისხიანია. ნაყოფი დიდი ზომისაა, მკვრივი, ნაკლებად წვნიანი. ფერი: მოვარდისფრო-წითელი მომწვანო-ყვითელ ფონზე. მოსავალს კრეფენ სექტემბრის 20-დან ოქტომბრის 5-მდე. დამამტვერიანებლები: Friar, Black Amber, Santa Rosa and Angeleno.

სანერგეებში არსებული „შემოდგომის გიგანტის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - ემპრესა

არის იაპონური ქლიავისა და ალუჩის ნაჯვარი. საკმაოდ მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო სიდიდისაა, წვნიანი და არომატული. ნაყოფის ფერი: მწვანე - მუქი იისფერი შეფერილობით. შენახვის მცირე ვადიანია ვინაიდან გააჩნია არამკვრივი რბილობი. იაპონური ქლიავეების ჯიშებში ყველაზე საადრეოა. დამამტვერიანებლად გამოიყენება: ტავრიული ალუჩა / CAN.

სანერგეებში არსებული „ემპრესას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - შავი ბრწყინვალეობა

მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მუქი წითელი ფერის. მოსავლის კრეფა ხდება ივნისის პირველ კვირას. მოსავლის კრეფა ხდება ივნისის 10-დან 2 კვირის განმავლობაში. დამამტვერიანებლები: Pioner, Santa Rosa.

სანერგეებში არსებული „შავი ბრწყინვალეობის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - შავი ქარვა

ძალიან მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი მკვრივი, წვნიანი და არომატულია. კურკა მცირე ზომისაა. ფერი: მიახლოებულია შავთან, მუქი იისფერი შეფერილობით. მოსავლის კრეფა ტარდება ივლისის 15-დან თვის ბოლომდე. დამამტვერიანებლები: Friar and Santa Rosa.

სანერგეებში არსებული „შავი ქარვის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Fortune

ჯიში - ფორტუნა

ამ ჯიშს არ ახასიათებს მეწლიურობა. ნაყოფი დიდი ზომისაა, წვნიანი და მკვრივი. ნაყოფის ფერი: მუქი წითელი. მოსავლის კრეფა ტარდება აგვისტოს დასაწყისიდან 2 კვირის განმავლობაში. დამამტვერიანებლები: Friar and Santa Rosa.

საწარმოებში არსებული „ფორტუნას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Angelino

ჯიში - ანჯელინო

მაღალ მოსავლიანი საგვიანო ჯიშია. გამოირჩევა მკვრივი რბილობით. ნაყოფი საშუალო ზომისაა, პატარა კურკით, ტკბილი და არომატული. კანი: ნაზი, მუქი ყავისფერი ან მუქი იისფერი შავში გარდამავალი. გამძლეა მკაცრი კლიმატური პირობებისადმი. ხასიათდება ერთდროული დამწიფებით. 3 თვემდე ინახება სამაცივრე მეურნეობებში. მოსავლის აღება ხდება 10 სექტემბერიდან 10-15 დღის განმავლობაში. დამამტვერიანებლები: Friar, Formosa, Santa Rosa.

საწარმოებში არსებული „ანჯელინოს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ხურმა



ხურმა

(ლათ. Diospyros) - მცენარეთა გვარი აბანოზისებრთა ოჯახისაა.

სუბტროპიკული და ტროპიკული ხეები და ბუჩქებია. ცნობილია 200-მდე სახეობა. ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე - 3: **იაპონური, კავკასიური და ვირჯინიული ხურმა**. მათგან ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ჩვეულებრივი, ანუ კავკასიური ხურმა (Diospyros lotus); მაღალი ხეა. მისი ნაყოფი პირველად მოყვითალო-მოწითალო და მწკლარტეა. მწიფეს მოშავო-მურა და ლურჯი ელფერი გადაკრავს, სიმწკლარტე აღარ აქვს. ჩვენში უფრო დასავლეთ საქართველოს ტყეებში იზრდება. იყენებენ სამირედ. ვირჯინული ხურმის (Diospyros virginiana) სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალური ნაწილი. გავრცელებულია იაპონიაშიც. საქართველოში იაპონური ხურმა დაახლოვებით 100 წლის წინათ შემოიტანეს და გავრცელდა დასავლეთ საქართველოში, კახეთსა და ქართლის ზოგიერთ რაიონებში. ნაყოფი შეიცავს 25 % შაქარს (ჩირი 60 %-მდე), ვიტამინებს. იაპონური ხურმის ჯიშები დაყოფილია 3 ჯგუფად: ტკბილი, ნახევრად ტკბილი და მწკლარტე.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:

ჯიში - ჰაჩია



წარმოშობა - იაპონია. ნაყოფი - ძალიან დიდი ზომისაა, ახასიათებს ძალიან მაღალი ხარისხის გემური თვისებები. ფერი - მოწითალო-სტაფილოსფერი. დამტვერვის გარეშე ხასიათდება უკურკო ნაყოფებით. დამტვერვისას წარმოიქმნება კურკიანი ნაყოფები. ნაყოფის რბილობი დამწიფებისას იღებს ყავისფერ ფერს, მაგრამ ინარჩუნებს სიმკვრივეს. უკურკო ნაყოფებს რბილობი მოწითალო-სტაფილოსფერია და ხასიათდება გამაღიზიანებელი „პირის დაშუშვის“ გემოთი. ამიტომ, მისი საკვებად მიღება მიზანშეწონილია სრული დამწიფების შემდეგ, როდესაც ნაყოფი მთლიანად

დარბილდება. მსხმოიარობას იწყებს მე-4 წელს. მოსავლის კრეფა იწყება ნოემბრის დასაწყისიდან.

სანერგეებში არსებული „ჰაჩიას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Hana Fuyu

ჯიში - ჰანა ფუჯი

წარმოშობა: კალიფორნია. ნაყოფი საშუალო სიდიდისაა, უმაღლესი ხარისხის, არ გააჩნია სიმჟავის გემო. ნაყოფის კანი ნარინჯისფერია. სიმწიფეში შესვლისას ხდება მუქი ქარვისფერი. აქვს წვრილი კურკები. მოსავლის აღება იწყება ოქტომბრის მეორე დეკადიდან და სრულდება 2 კვირის განმავლობაში.

სანერგეებში არსებული „ჰანა ფუჯის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Brilliant Red

ჯიში - წითელი ბრილიანტი

მცენარე იზრდება 6 მ-მდე სიმაღლის. მაღალ მოსავლიანია. ნაყოფი დიდი ზომისაა, მრგვალი ფორმის, წვნიანი და არომატული. ნაყოფის კანი ნარინჯის ფერია, მკვრივი და წვნიანი. გამოირჩევა განსაკუთრებული გემური თვისებებით და ნაყოფის მაღალი ხარისხით. მოსავლის აღება იწყება ოქტომბრის ბოლოდან და სრულდება ნოემბრის 20-მდე.

სანერგეებში არსებული „წითელი ბრილიანტის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Asian Fuja

ჯიში - აზიური ფუჯი

საადრეო ჯიშია. ნაყოფიერების გარდა ამ ჯიშის ხეები გამოირჩევა სილამაზით. არაა ძალიან მაღალი (არაუმეტეს 4 მ-ისა) და გააჩნია გაშლილი ვარჯი. მაღალ მოსავლიანია. ნაყოფი მრგვალია, მას არ გააჩნია კურკები. სრულ სიმწიფეში შესვლამდეც გააჩნია განსაკუთრებული გემო და სიტკბო, ხოლო დამწიფებული არის ძალიან ტკბილი. არ ხასიათდება „პირის დაშუშვის“ გემოთი. მოსავალი იკრიფება სექტემბრის ბოლოდან რიცხვებიდან. მცენარე არის თვითდამტვერვადი.

თვითდამტვერვადი.

სანერგეებში არსებული „აზიური ფუჯის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ბროწეული



ბროწეული

(ლათ. *Punica granatum*) - ბუჩქი ან ხე (სიმაღლით 5 მ-მდე)


ბროწეულისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცმომანი ეკლიანი მცენარეა. აქვს კიდემთლიანი ტყავისებრი ფითლები, რომელთაგან ზოგი დიდია, სურისებრი; ნორმალურად განვითარებული ნასკვი, ბუტკო და სამტვრე აქვს, იძლევა ნაყოფს; ზოგი (85-95 %) კი განუვითარებელი, მოკლებუტკოიანია და ცვივა. ყვავილობს მაის-აგვისტოში. დამტვერვა ჯვარედინია. დარგვიდან მესამე-მეოთხე წელს ისხამს ნაყოფს, სრულ მოსავალს მეშვიდე-მერვე წელს იძლევა. ნაყოფი კენკრასებრია, აქვს მწიფვითელი ან წითელი ნაყოფის ფერი, სფეროსებრი მრავალი (400-700) წვნიანი თესლი, რომელიც მწიფდება სექტემბერ-ნოემბერში. კარგი მოვლისას ერთი ხის მოსავალი 50-60 კგ აღწევს.

ბროწეული ნიადაგისადმი ნაკლებ მომთხოვნიანია, კარგად ხარობს ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ღრმა თიხნარ ნიადაგებზე. ყინვაგამძლეა (იტანს -10°C), ველურად იზრდება მცირე აზიის, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის, ირანის, ამიერკავკასიის მთიან რაიონებში; საქართველოში - ივრის, ალაზნის და მტკვრის ნაპირებზე და დასავლეთის ზოგიერთ რაიონებში. კულტივირებულია სუბტროპიკულ ზონაში. ბროწეულის ნაყოფს ნედლად იყენებენ. წვნიანსაგან, რომელიც 8-19 % შექარს 0,3-9 % ლიმონის მჟავას, ტანინსა და C ვიტამინს შეიცავს, ამზადებენ სიროფს, სასმელებს („გრენადინი“, „მამარაფი“ და სხვა), საწებლებს.

ბროწეულის ღეროს, ტოტებსა და ფესვების ალკალოიდებით მდიდარ გამხმარი ქერქის ნახარშსა და ექსტრაქტს სამკურნალოდ იყენებენ. ნაყოფის კანით, ზოგჯერ კოლიტს მკურნალობენ. ფოთოლი, ფესვისა და ღეროს ქერქი, ნაყოფის კანი დიდი რაოდენობით (32 %-მდე) შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, რომელიც იხმარება ტყავის წარმოებაში და საღებავების დასამზადებლად.

საქართველოში ბროწეული გაშენებულია უმთავრესად კახეთში, ქართლში, იმერეთსა და აჭარაში. დარაიონებული ჯიშებია: **ვარდისფერი გულომა**, **ყირმიზი ყაბუხი**, **შაჰ-ნარი**, **სალავათური**. ბროწეულს აზიანებს ნაყოფჭამია, ბუგრი, ტკიპა; ავადდება ფომოფისით (ტოტების კიბო).

ჯიშების დახასიათება:



ჯიში - არიკ-დონა

ზოგადი აღწერილობა – ბუჩქი 3 მეტრამდე სიმაღლისაა, ვარჯი მომრგვალოა, საშუალო სიხშირის ტოტებით. სრულმოსავლიანი ბუჩქი იძლევა საშუალოდ 19 კგ-მდე მოსავალს. ნაყოფი მსხვილია – საშუალოდ 300 გრამამდე. ზოგიერთი ნაყოფის წონა კი შესაძლოა 500 გრამამდეც იყოს. ნაყოფი მწიფდება ოქტომბერში. დამწიფებისას იგი მუქი-ჟოლოსფერია.

დამატებითი ინფორმაცია – ფესვის კიბოთი დაავადებისადმი სუსტი

გამძლეობა.



Guloska Azerbaijanli

ჯიში - გიულომა აზერბაიჯანული

წარმოშობა: აზერბაიჯანული ჯიშია, შემოტანილია 1956 წელს. ვეგეტაციას იწყებს აპრილის დასაწყისში. ყვავილობს მაისის ბოლოდან. ნაყოფები მწიფდება ოქტომბრის მესამე დეკადაში. გამოირჩევა კარგი მსხმოიარობით (18-20 კგ 1 ძირზე), იტანს 12 0-მდე ყინვას. მცენარე საშუალო სიმაღლისაა(2,6 მ-მდე) მომრგვალო, საკმაოდ ხშირი მარჯით; ნაყოფი საშუალო ან მსხვილი, მომრგვალოა; კანი პრიალა ვარდისფერი. მსხვილმარცვლიანია; მარცვლები ალუბლისფერი; თესლი წვრილი და მაგარი. შეიცავს მომჟავო-მოტკბო სასიამოვნო გემოს წვენს, რომლის გამოსავალი 50 %-ს აღემატება. საქართველოს მშრალ სუბტროპიკულ ზონაში 14,09 %-მდე. პერსპექტიულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში გასავრცელებლად, უპირატესად კახეთის ზონაში.



Kirmiz Kabuk

ჯიში - კირმიზ კაბუხი

ზოგადი აღწერილობა – ბუჩქი საშუალო სიდიდისაა, 2 მეტრამდე სიმაღლის და 2,5 მეტრამდე სიგანის ვარჯით. ერთი ნაყოფის საშუალო წონა 195 გრამამდეა. მისი კანი მუქი-წითელი ფერისაა. მარცვალი მსხვილია, მუქი-ალუბლისფერი და წვნიანი. ნაყოფები მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში. ერთი ბუჩქის საშუალო მოსავალი 12 კგ-მდეა.

დაავადებისადმი.

დამატებითი ინფორმაცია – შედარებით გამძლეა ფესვის კიბოთი



Kizil Nari

ჯიში - კიზილ ნარი

წარმოშობა: აზერბაიჯანული ჯიშია, შემოტანილია 1949 წელს. მცენარე საშუალო ზომისაა (3 მ-მდე სიმაღლის) მომრგვალო საშუალო ზომის ვარჯით. უხვმოსავლიანია (19 კგ 1 ძირზე). ვეგეტაციას იწყებს მარტის ბოლოს, ყვავილობს მაისის ბოლოს. ნაყოფები მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში; ინვითარებს მსხვილ ნაყოფებს; ნაყოფის კანი სქელია, პრიალა, მოწითალო ყოლოსფერი. თესლი ალუბლისფერია, წვრილი და მაგარი; შეიცავს მომჟავო მოტკბო გემოს წვენს, რომლის გამოსავლიანობა 50 %-ს აღემატება, შაქრები - 14,5 %-ია, ვიტამინი C –

9,6 %, ხოლო მთრიმლავი ნივთიერება - 0,16 %. შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ნედლი ხილი, ისე წვენისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად. პერსპექტიულად მიგვაჩნია ქვემო ქართლისა და კახეთის ზონებისათვის.



Nazi Kabakh

ჯიში - ნაზი კაბუხი

ზოგადი აღწერილობა – ბუჩქი 2 მეტრამდე სიმაღლისაა. ვარჯი მომრგვალო-გამლილია, საშუალო სიხშირის ტოტებით. ნაყოფი მსხვილია – მისი საშუალო წონა 330 გრამამდე აღწევს. ნაყოფის კანი საშუალო სისქისაა, ძლიერ მკვრივი. მარცვალი მსხვილია, მუქი-ალუბლისფერი და წვნიანი. ნაყოფი მწიფდება ოქტომბრის ბოლოს. ერთი ბუჩქი საშუალოდ 28 კგ-მდე მოსავალს იძლევა.

იტანს ტრანსპორტირებას.

დამატებითი ინფორმაცია – ნაყოფი ხანგრძლივად ინახება და კარგად



Shirin Nari

ჯიში - შირინ ნარი

წარმოშობა: აზერბაიჯანული ჯიშია, შემოტანილია 1974 წელს. ხასიათდება საშუალო ზრდით, მომრგვალო კომპაქტური ვარჯით. ვეგეტაციას იწყებს აპრილის დასაწყისში, ყვავილობს მაისის ბოლოს. ნაყოფი მწიფდება ოქტომბრის მესამე დეკადაში. გამოირჩევა უხვი და ყოველწლიური მსხმოიარობით (195 ც-მდე ჰექტარზე) გვალვარეზობა, ნაკლებად ზიანდება მავნებელ-დაავადებებით, ანვითარებს საშუალო ან მსხვილ ნაყოფებს, ოდნავ ხორკლიანი კანით. შეიცავს მსხვილ წითელი ფერის მარცვლებს, საკმაოდ წვნიანია და ტკბილი. წვენის შემცველობა

47,5 %-ია და შეიცავს 19,4 მგ C ვიტამინს. პერსპექტიულია ქვემო ქართლის ზონაში გასავრცელებლად. შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ნედლი ხილის სახით, ასევე გადასამუშავებლად.



Giuloshia vardisferi

ჯიში - გიულოშა ვარდისფერი

ზოგადი აღწერილობა – ბუჩქი 2,5-მეტრამდე იზრდება. ვარჯის განი 2,2 მეტრამდეა. ვარჯი გაშლილია და გამოირჩევა საკმაოდ ხშირი დატოტვით. ნაყოფი ოვალური, ან მომრგვალო ფორმისაა. მისი საშუალო წონა 380 გრამამდეა. მარცვალი ძლიერ მსხვილია, მუქი-ალუბლისფერი და წვნიანი. ნაყოფები მწიფდება სექტემბრის ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე.

დამატებითი ინფორმაცია – გამძლეა ფესვის კიბოთი დაავადებისადმი.

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Hijaz Nari

ჯიში - ჰიჯაზ ნარი

მსხვილი ნაყოფით, სქელ კანიანი, ხასხასა წითელი შეფერილობის. საშუალო ზომის მარცვლებით, ოდნავ მომყავო გემოთი. გამოიყენება როგორც სასუფრედ, ასევე წვენი წარმოებაში. მოსავლის აღება იწყება 10 ოქტომბრიდან 2 კვირის განმავლობაში.

სანერგეებში არსებული „ჰიჯაზ ნარის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის

რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Mollar de Elche

ჯიში - მოლლარ დე ელჩე

ჯიში გამოყვანილია ესპანეთში და დღეის მდგომარეობით ყველაზე გავრცელებულია ამ ქვეყანაში. ნაყოფები დიდი და ძალიან დიდი ზომისაა. ძლიერი და სწრაფად მზარდი მცენარეა. ნაყოფის მარცვლები მუქი წითელი ფერისაა ნაზი გარსით და წვრილი კურკებით. მაღალ მოსავლიანია და გააჩნია მაღალი ხარისხი და ხანგრძლივად შენახვის უნარი. დამწიფება და მოსავლის კრეფა იწყება ოქტომბრის შუა რიცხვებიდან და გრძელდება 1 თვის განმავლობაში.

სანერგეებში არსებული „მოლლარ დე ელჩეს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Wonderfull

ჯიში - შესანიშნავი

ამ ჯიშს დიდი პოპულარობა აქვს ნაყოფის დიდი ზომისა და მაღალი ხარისხის გამო. მაღალ მოსავლიანია. ნაყოფის კანი ბაცი მოწითალო-მონარინჯისფერია, ხოლო მარცვლები მუქი ბორდოსფერი. გამოირჩევა მაღალი ხარისხის წვნიანი კონსისტენციით. მცენარე იზრდება 5-6 მ-მდე. მოსავლის კრეფა ტარდება ოქტომბრის 20-დან 20-25 დღის მანძილზე.

სანერგეებში არსებული „შესანიშნავის“ ჯიშის ნერგები

სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ჯიში - ჰიჯაზი



Hicaz

მსხვილი ნაყოფით, სქელ კანიანი, ხასხასა წითელი შეფერილობის. საშუალო ზომის მარცვლებით, ოდნავ მომჟავი გემოთი. გამოიყენება როგორც სასუფრედ, ასევე წვენის წარმოებაში. მოსავლის აღება იქცევა 10 ოქტომბრიდან.

სანერგეებში არსებული „ჰიჯაზის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის

რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ნუში



ნუში

(ლათ. Prunus dulcis, Prunus amygdalus) - ვარდისფერთა ოჯახის, კურკოვანთა გვარის მცენარეა. ცნობილია 40-მდე ჯიში, რომელიც გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან ცენტრალურ აზიამდე. კავკასიაში იზრდება 7 ჯიშამდე, საქართველოში კი მხოლოდ 2. მათგან ერთი — ჩვეულებრივი ნუში (Amygdalus communis) კულტივირებულია. მისი სიმაღლე 10 მ აღწევს. აქვს თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილი. არჩევენ მის ტკბილ და მწარეთესლიან, თხელ და სქელნაჭუჭა ფორმებს. თესლი შეიცავს გლუკოზიდ ამიგდალინს, რომელიც ტკბილ ფორმებში ოდნავ შეიმჩნევა. გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე. მისი გაველურებული ფორმები ქმნის რაყას. მეორე სახეობა, ენდემური ქართული ნუში (Amygdalus georgica), ბუჩქია, რომლის სიმაღლე 1-1,5 მ აღწევს. გამოირჩევა კაშკაშა ვარდისფერი ყვავილებით. იზრდება აღმოსავლეთ საქართველოში, ქმნის რაყას, მისი დიდი მასივებია გარე კახეთში, სოფელ კრასნოგორსკთან (წარსულში მალხაზიანი, მახაზოვკა, აზამბური) და ქოჩორას მთის დასავლეთ კალთებზე ხევებში. გვხვდება ქართლშიც — ქარელთან, ტირიფონის ველზე სოფელ ხურვალეთთან, სამთავისთან, კასპთან. მისი გამოყენება შეიძლება ფერდობების გასამაგრებლად, ატმის, ტკბილი ნუშის, ქლიავისა სხვა კურკოვანი მცენარეების საძირედ.

ნუში სინათლის მოყვარულია, გვალვა და შედარებით ყინვა გამძლეა. კარგად ხარობს ფხვიერ კირიან ნიადაგებზე. იზრდება ქვიან და კლდოვან დამრეც ზედაპირზე ზღვის დონიდან 800-1600 მ (ბუხარის ნუში 2500 მ-მდე ადის), ამჯობინებს კალციუმით მდიდარ ნიადაგებს, იზრდება მცირე ჯგუფებად (3-4 წამონაზარდიდან). რომელიც ერთმანეთისაგან 5-7 მეტრითაა დაშორებული. მზის მოყვარულია და ადვილად იტანს სიმშრალეს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემის წყალობითა და ეკონომიური ტრანსპირაციით. ყვავილობს მარტ-აპრილში, ზოგან თებერვალშიც, ნაყოფი ივნის-ივლისშიც მწიფდება. მსხმოიარობას იწყებს 4-5 წლის ასაკიდან და 30-50 წლამდე აგრძელებს. ცოცხლობს 130 წლამდე. მრავლდება თესლებითა და ფესვების წამონაზარდებით. იტანს -250C ყინვას, თუმცა ვეგეტაციის დაწყების შემდეგ ადვილად ზიანდება გაზაფხულის ყინვებისაგან. იზრდება ბუჩქის ან მცირე ზომის ხის სახით მოწითალო ფერის ტოტებით. აღწევს 3-8 მეტრს, ლანცეტისებრი ფოთლებით, რითაც ალუბალს ემსგავსება. მშრალი თესლი (ნუშის გული) შეიცავს 54 % ცხიმს, 21 % აზოტოვან ნივთიერებებს, 13 % უაზოტო ნივთიერებებს, 4 % უჯრედისს, 6 % წყალს და 2 % ნაცარს.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Nonpareil

ჯიში - ნონპარლეი

წარმოშობა - ამერიკა, კალიფორნია. მაღალ მოსავლიანი ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომის, ნაჭუჭი ხელით ადვილად იმტვრევა. მაღალი ხარისხის, დელიკატესი (გამორჩეული გემური თვისების). გული შეადგენს 60-70 %-ს. იყიდება როგორც ნიჟარის სახით, ასევე გატეხილი გულები. Texas and Ne Plus Ultra ჯიშები გამოიყენება დამამტვერიანებლად.

სანერგეებში არსებული „ნონპარლეის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Texas

ჯიში - ტეხასი

წარმოშობა - აშშ. სტაბილურად იძლევა მაღალ მოსავალს. ნაყოფი საშუალო ზომის, ნაჭუჭი ხელით ადვილად იმტვრევა. გული შეადგენს 45-50 %-ს. მოსავალს იღებენ სექტემბრის ბოლო კვირას. Nonpareil ჯიში გამოიყენება დამამტვერიანებლად.

სანერგეებში არსებული „ტეხასის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Guara

ჯიში - გუარა

საშუალო-გვიან მოყვავილე, საშუალო ზრდის, საშუალო ზომის ნაყოფებით, ჯიში არ მოითხოვს დამამტვერიანებელი ჯიშის დარგვას. მწიფდება აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის პირველ ნახევრამდე არსებულ პერიოდში. მისი სიმაღლე საშუალოდ 6-10 მეტრამდეა. ნაყოფი კურკაა, იგი მოთავსებულია მწვანე ფერის მშრალ ნაყოფგარემოში – ე.წ. „ლენჯოში“. დამწიფებისას ნაყოფგარემო სკდება.

წიფვი



ლელვი

(ლათ. *Ficus carica*) — სუბტროპიკული ხეა. მცენარე თუთისებრთა ოჯახის ფიკუსის გვარისა. ლელვი მეჩხერად დატოტვილი ხეა. სიმაღლე 4-12 მ აღწევს. ნორჩი ყლორტები მომწვანო-ნაცრისფერია, შებუსვილი ან შიშველი, შეიცავს რძეწვენს. ლელვი ერთ- ან ორსახლიანი მცენარეა. ერთსქესიანი ყვავილები მოთავსებულია ძალზე გამსცვილებულ ყვავილსაჯდომის ღრუში. ყვავილსაჯდომის კედლები გამოფენილია. მრავალი წვრილი ბუტკოიანი (მდედრობითი) ყვავილით, მტვრიანიანი (მამრობითი) ყვავილები კი მის ზედა ნაწილშია მოქცეული. ყვეილები იმტვერება პატარა კრაზანის — პლასტოფაგას მეშვეობით. ნამდვილი ნაყოფი პაწაწინა კაკლუჭაა. ნაყოფედი (ცრუ ნაყოფი), რომელიც საჭმელად იხმარება, ზოგჯერ პართენოკარპულად (გაუნაყოფიერებლად) ვითარდება. ლელვი ნიადაგისადმი დიდ მომთხოვნელობას არ იჩენს — კარგად ეგუება მშრალ, ქვადორდიან, კირნარ ადგილებს, ხარობს ხრიოკებზე, ჩამონაზვავებზე, ზოგჯერ შენობების ნანგრევებზე და კლდეებზეც კი. ღრმა ნიადაგზე და ზომიერად ტენიან პირობებში საკმაოდ მაღალ ტემპერატურას უძლებს, დაბალი ტემპერატურისადმი კი უფრო მგრძობიარეა და 12-14 °C-ზე უკვე ნაწილობრივ ზიანდება. ცოცხლობს 100-200 წელს.

ლელვი ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მცირე აზიაში, ირანსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით თურქეთში, ალჟირსა და აშშ-ში. საქართველოში გვხვდება ყველგან მთის ქვედა სარტყელსა და დაბლობებზე. ხშირად გავლურებულია. ლელვის ნაყოფი ნაზია, დიდხანს არ ინახება, ჯიშისა და სიმწიფის კვალობაზე იგი შეიცავს (%-ებით): 12-23 შაქარს, 0,5-4,2 პექტინოვან ნივთიერებებს, 3,4-7,4 უჯრედისს, 1-მდე მჟავებს; მდიდარია C, B1, B2 ვიტამინებით, კაროტინით, კალციუმით, რკინით, ფოსფორით.

ლელვს იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (ჩირი, მურაბა, ჯემი, კომპოტი). მშრალი ლელვის კალორიულობა მაღალია და 50-77 % შაქარს შეიცავს. საქართველოში ლელვი ძველთაგანვე ცნობილია და ფართოდაა კულტივირებული კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში. უცხოური ჯიშებიდან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს თათრულ ლელვს, ჩაფლას, შაქარა ლელვს, ჩიტა ლელვს, დიდ ლელვს, ოქრო ლელვს, ღვინა ლელვს, ტაბაკა ლელვს, შავ ლელვს და სხვა. ლელვს ამრავლებენ თესლით, კალმით, გადაწვევით და ფესვის ამონაყრით. ლელვის მავნებლებია: ფქვილისებრი ცრუფარიანა, ლელვის ფარიანა, ფსილა, ალურა, ცილაჭამია და სხვა.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:

ჯიში - სამეფო თეთრი



საუკეთესო ჯიშია ჩირების წარმოებისათვის. ჩირის ფერი არის მოთეთრო ქარვისფერში გარდამავალი. მაღალ მსხმოიარე ჯიშია, დიდი ნაყოფებით. პირველი ნაყოფების დამწიფება იწყება ივლისის 1 დეკადის ბოლოს. მოსავლის კრეფა ხდება ივლისის შუა რიცხვებიდან 1 თვის განმავლობაში.

სანერგეებში არსებული „სამეფო თეთრის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის

რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ჯიში - სამეფო შავი



ნაყოფი დიდია, მადის მომგვრელი გარეგნობის, ხაოიანი კანით. არის სასუფრე ჯიში, თუმცა შესაძლებელია მისი გაყინვაც. ნაყოფის ფერი: მუქი იისფერი ან/და ალისფერი შავი. ნაყოფის კანი და რბილობი არის მკვრივი, კარგად უძლებს ტრანსპორტირებას. არის საექსპორტო. დამწიფებას იწყებს ივლისის შუა რიცხვებიდან, ხოლო მოსავლის კრეფა ხდება ივლისის ბოლოდან 1 თვის განმავლობაში.

სანერგეებში არსებული „სამეფო შავის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის

მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

წაბლი



წაბლი

(ლათ. Castanea) – ფოთლომცვივანა მერქნიანი მცენარეთა გვარი წიფლისებრთა ოჯახისა. სახელწოდება ვრცელდება ასევე წაბლის ნაყოფზე, რომელსაც ეს უკანასკნელი გამოიმუშავებს. უმთავრესად გამოიყოფა წაბლის ოთხი ძირითადი სახეობა: ევროპული, ჩინური, იაპონური და ამერიკული წაბლი.

გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყელში. სიმაღლეში იზრდება 50 მეტრამდე. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული კოლხეთში, აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათია (ლიხის ქედი, ბორჯომის ხეობა, კახეთის კავკასიონი). ქმნის წაბლნარებს და შერეულ ფართო ფოთლოვან ტყეებს. წაბლნარი გავრცელებულია ზღვის დონიდან 300-1000 მ ფარგლებში. გვხვდება იმ რაიონებში, სადაც ზამთრის ტემპერატურა 0,3^o C, ზაფხულში 18-20^o C ფარგლებში მერყეობს და ნალექების რაოდენობა 700 მმ აღემატება.

კულტივირებულია სამხრეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში. წაბლის მერქანი მაგარი და გამძლეა. იყენებენ ავეჯის და სახარატო წარმოებაში, მშენებლობაში. ქერქი და გული მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით, იყენებენ სამღებრო საქმეში. ნაყოფი გემრიელი საჭმელია. თაფლოვანი მცენარეა. უსისტემო ექსპლუატაციის გამო არეალი მკვეთრად შემცირდა, ამიტომ შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:

ჯიში - ფალიოპეტიკი



ამ ჯიშის ხე მაღალია. ნიადაგურ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მისი სიმაღლე მერყეობს 5 – 6 მ-ის ფარგლებში. გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით. ნაყოფი ტკბილია, რბილი, გლუვი ზედაპირით. მცენარე ადრე შედის მსხმოიარებაში და გადარგვიდან მე-3 წელს იწყებს მსხმოიარებას. მაღალ მოსავლიანია, დიდი ზომის ნაყოფებით. მოსავლის აღება ტარდება ოქტომბრის თვეში. მოსავლის აღება მიმდინარეობს სექტემბრის 10-დან დაახლოებით 1 თვის მანძილზე.

სანერგეებში არსებული „ფალიოპეტიკის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



ჯიში - მარიგული

მოსავლის აღება მიმდინარეობს სექტემბრის 20-დან დაახლოებით ოქტომბრის 5-10 რიცხვამდე.

სანერგეებში არსებული „მარიგულის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

კენკროვანები (მოცხარი, ჟოლო, მაცვალი, მარწყვი)



მაყვალე

მაყვალე — (Rubus fruticosus) ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. მეტწილად ხვარა ბუჩქებია. აქვთ ეკლებით ან ჯაგრებით მოფენილი გრძელი ღეროები. ნაყოფი კრებადია წითელი ან მოწითალო-მოშავო. მაყვალის 200-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 37 სახეობა გვხვდება, აქედამ 27 საქართველოს ენდემური ჯიშია.

მაყვალის ღერო და ფოთლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ნაყოფი — 4-8% შაქრებს, 0,6—1,4% მჟავებს, C ვიტამინს და კაროტინს. იყენებენ ნედლად, აკეთებენ მურაბას, ჯემს და სხვა ნაწარმს. მსოფლიოში ცნობილია კულტურული მაყვალის დაახლოებით 300-მდე ჯიში.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Arapako

ჯიში - არაპაკო

ხარობს ზომიერ კლიმატურ პირობებში და მარტივად ეგუება მის ცვლილებას, უყვარს თბილი ზამთარი. საუკეთესოდ ხარობს ქარებისაგან დაცულ მზიან ადგილებზე. ნაყოფი საშუალო და დიდი ზომის, ზომიერად ტკბილი, წვნიანი. შეფერილობა - მუქი შავი. მაღალმოსავლიანი. როგორც წესი ყვავილობას იწყებს მაისის დასაწყისში და გრძელდება აგვისტოს ბოლომდე. შეიცავს დიდი რაოდენობით ორგანულ მჟავებს, მინერალებს და ვიტამინებს.

სანერგებში არსებული „არაპაკოს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Triple Crown

ჯიში - სამ გვირგვინა

სამ გვირგვინის დასახელება დაიმსახურა 3 ძირითადი თვისებების არსებობით - საუკეთესო გემო, მაღალი მოსავლიანობა და მედეგობა. ბოლო თვისება გულისხმობს - მდგრადობა დაავადებებისადმი და ძალიან დიდი ზომის ნაყოფის ხარისხის შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდით. მცენარე არის უეკლო. მოსავლის კრეფა შესაძლებელია 5 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, ივლისის დასაწყისიდან სექტემბრის დასაწყისამდე. ერთნაირად ხარობს დასავლეთ და აღმოსავლეთ

საქართველოში.

სანერგეებში არსებული „სამ გვირგვინას“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.




Lohnes

ჯიში - ლოხნესი

წარმოშობა: ამერიკული ჯიშია. ბუჩქის ფორმა: კომპაქტური, სწორმდგომი ბუჩქი, უეკლო. ყვავილობის პერიოდი: ივნისი, ივლისი, აგვისტო - რემონტატული ჯიშია. ნაყოფის ფერი: მუქი ლურჯი პრიალა ფერის; ფორმა: მრგვალი, ოვალური; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 12-14 გრამი; რბილობი: მუქი, მკვრივი, წიპწიანი, საუკეთესო არომატით. მოსავლიანობა; მაღალი 15 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეა. სიმწიფის პერიოდი:

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ხანგრძლივი მოსავლიანობის პერიოდი. საგემოვნო თვისებები: ტკბილი არომატული, სასიამოვნო გემოთი.



Chester

ჯიში - ჩესტერი

წარმოშობა: ამერიკული ჯიში. ბუჩქის ფორმა: მაღალი ბუჩქი, უეკლო. ყვავილობის პერიოდი: მაისის ბოლო, ივნისი. ნაყოფის ფერი: კრიალა, შავი; ფორმა: მოგრძო, ოვალური; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 8-10 გრამი; რბილობი: მუქი ბორდისფერი, მკვრივი, წიპწიანი, ძლიერი არომატით. მოსავლიანობა; მაღალი 15--17 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეა. საგემოვნო თვისებები: მომყავო სასიამოვნო გემოსი. მოსავლის კრეფა გრძელდება ივლისის შუა

რიცხვებიდან - სექტემბრის დასაწყისამდე.



Natchez

ჯიში - ნატჩეზი

წარმოშობა: ამერიკული ჯიში. ბუჩქი იზრდება 3 მეტრამდე; მისი ფორმა: მაღალი ბუჩქი, უეკლო. ყვავილობის პერიოდი: ივნისი-ივლისი. ნაყოფის ფერი: კრიალა, მუქი ლურჯი; ფორმა: კონუსისებური, მომრგვალო; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 11-12 გრამი; რბილობი: მუქი, მკვრივი, წიპწიანი, ძლიერი არომატით, ტკბილი მომყავო სასიამოვნო გემოთი. მოსავლიანობა; მაღალი 15 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეა. სიმწიფის

პერიოდი: აგვისტო-სექტემბერი.



ჯიში - პაიმ-ფრიდომი

წარმოშობა: ამერიკული ჯიშია. ბუჩქის ფორმა: სწორამდგომი ბუჩქი, უეკლო. ყვავილობის პერიოდი: მაისი, ივნისის დასაწყისი. ნაყოფის ფერი: მუქი ლურჯი პრიალა ფერის; ფორმა: კონუსისებური; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 10-12 გრამი; რბილობი: მუქი, მკვრივი, წიპწიანი, საუკეთესო არომატით, ტკბილი არომატული, სასიამოვნო გემოთი, ტრანსპორტაბელური. მაღალ მოსავლიანია - 15 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეა. სიმწიფის

პერიოდი: ივლისის შუა რიცხვებიდან.

ჟოლო

ჟოლოს ორი სახეობა არსებობს: ტყის და ბაღის. ტყის ჟოლო გამოირჩევა საოცარი არომატით და სამკურნალო თვისებებით. ბაღის ჟოლო კი უფრო ტკბილი და გემრიელია, მაგრამ ნაკლებად სამკურნალოა. ჟოლო მალფუჭებად ნაყოფს მიეკუთვნება. მისი ამორჩევისას ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი იყოს მშრალი, ობისა და მავნებლების გარეშე. ზოგადად ტყის ჟოლო უკეთესად ინახება, ვიდრე ბაღის. მისი შეფერილობა სხვადასხვაგვარია. სასურველია ნაყოფი იყოს თანაბრად შეფერილი და არ ჰქონდეს შავი და მწვანე ჩანართები. ყველაზე სასარგებლოა სეზონური და ადგილობრივი ჯიშის ნაყოფი. იმპორტირებულ ნაყოფს, სავარაუდოდ დიდი რაოდენობით კონსერვანტების შემცველობა უნდა ჰქონდეს, რაც უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჟოლო ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც სიცხის დამწევი, ოფლმდენი, ანტიტოქსიური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება. იგი ასევე გვეხმარება დავძლიოთ დაღლილობა და ცუდი განწყობილება. ჟოლო ნაზი პროდუქტია. იგი ცუდად იტანს ტრანსპორტირებასა და შენახვას. თუ მან ტრანსპორტირებისას წვენი გამოყო, შემდეგში მისი შენახვა არ არის რეკომენდირებული. ზოგადად იგი მაცივრის პირობებში სულ რამოდენიმე დღე ინახება. ჟოლოს გარეცხვა შესაძლებელია მხოლოდ გამოყენების წინ, ვინაიდან გარეცხილი პროდუქტი უცხად ფუჭდება. ჟოლოს მთავარი ღირსებაა ისიც, რომ თერმული დამუშავებისას იგი არ კარგავს სამკურნალო თვისებებს. ამით აიხსნება ჟოლოს მურაბის პოპულარობა. იგივე შეიძლება ითქვას გაყინულსა და გამომშრალ ნაყოფზე. გაყინვა უკეთესია ვაკუმპაკეტში.

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Ahududu

ჯიში - აჰუდუდუ

წარმოშობა - თურქეთი. ველურ ბუნებაში გავრცელებული ადგილობრივად გამოყვანილი ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომის, ტკბილი, წვნიანი. შეფერილობა - წითელი. მაღალ მოსავლიანი, 12 ტონამდე ჰექტარზე. გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით - როგორც ცოცხლად საკვებად, სვე დასაკონსერვებლად, საკონდიტრო და წვენების წარმოებაში. შეიცავს C ვიტამინის დიდ რაოდენობას და გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებითაც.

სანერგეებში არსებული „აჰუდუდუს“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Karolina

ჯიში - კაროლინა

წარმოშობა: ამერიკა. სწორ მდგომი, მაღალი ბუჩქი, მოითხოვს შპალერულ სისტემას. საუკეთესო არომატის ჟოლოს ჯიშია. ყვავილობის პერიოდი: ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. ნაყოფის ფერი: წითელი, ტკბილი, ნაზი, მსხვილი, ერთი კენკრის მასა 5-8 გრამი. რაც უფრო თბილია ზამთარი და გაზაფხული - მით ადრე შედის სიმწიფეში. მცენარეები გამძლეა დაავადებებისადმი და ფესვის სიდამპლისადმი. სიმწიფის პერიოდი: ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. საგემოვნო თვისებები: ტკბილი, სასიამოვნო გემოთი.



Tulameen

ჯიში - ტულამენის მარგალიტი

ჯიშის წარმოშობა: კანადა. ზაფხულის საგვიანო ჯიშია, სიმწიფეში შედის ივლისის დასაწყისში და გრძელდება 6 კვირის განმავლობაში. მაღალ მოსავლიანია. ნაყოფი ძალიან დიდი ზომისაა, მუქი ვარდისფერი, ტკბილი და არომატულია. მოკრეფის შემდეგ ხანგრძლივად ინარჩუნებს ხარისხს და კარგად ინახება. მდგრადია დაავადებებისადმი. დადებითი თვისებების გამო ჯიში დაჯილდოვებულია AGM სერტიფიკატით. მოსავლის კრეფა მიმდინარეობს ივლისის დასაწყისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე.

სანერგეებში არსებული „ტულამენის მარგალიტის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Tulamagic

ჯიში - ტულამეჯიკი

ჯიშის წარმოშობა: შვეიცარია. გამოყვანილია Autumn Bliss და Tulameen ჯიშების შეჯვარებით. მცენარეები მოსავალს იძლევა როგორც ზაფხულის, ასევე შემოდგომის განმავლობაში. მწიფდება Nova შემდგომ და 1 კვირით ადრე ვიდრე Tulameen. საკმაოდ მდგრადი ჯიშია დაავადებების და განსაკუთრებით ფესვის ფიტოფტოროზის მიმართ. ნაყოფი დიდი ზომისაა, ბაცი წითელი შეფერილობის, მკვრივი. ძალიან გემრიელია, ჯოლოს მკვეთრი არომატით. ჯიშის თვისებებიდან (ძირითადად - დაავადებების მიმართ გამძლეობა) გამომდინარე მარტივია ამ ჯიშის ბიო-წარმოება.

სანერგეებში არსებული „ტულამეჯიკის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



Nova

ჯიში - ნოვა

წარმოშობა: შოტლანდია, კანადა. ჯიში გამოყვანილია 1981 წელს, ადაპტირებულია მკაცრი ზამთრის პირობებისათვის და მაღალმთიანი რეგიონებისათვის, კარგად უძლებს ცხელ ზამთარს და გვალვას, ძლიერი ზრდის მცენარეა, სწორნდგომი, მაღალი ბუჩქი, მოითხოვს შპალერულ სისტემას. მაღალ მოსავლიანია, 8-10 ტონა ჰექტარზე. ყვავილობის პერიოდი: ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. ნაყოფი მკვეთრად წითელია, მკვრივი, საშუალო და დიდი ზომის, ერთი კენკრის მასა 5-8 გრამი. საგემოვნო თვისებები: ტკბილი, სასიამოვნო

გემოთი. სიმწიფის პერიოდი: ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. ასევე, ხანგრძლივად ინახე. მცირე რაოდენობით აქვს პატარა ეკლები.



Kenbe

ჯიში - კენბი

წარმოშობა: კანადური ჯიშია. ბუჩქის ფორმა: სწორნდგომი უეკლო ღეროებით, მოითხოვს შპალერულ სისტემას, დიდი რაოდენობით ინვითარებს ამონაყრებს. ყვავილობის პერიოდი: მაისის დასაწყისი. ნაყოფის ფერი: წითელი; ფორმა: მომრგვალებულ კონუსური, ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 4-4,5 გრამი; რბილობი: ღია ვარდისფერი, მკვრივი, კარგი არომატით. მოსავლიანობა; მაღალ მოსავლიანი 8-9 ტონა ჰექტარზე. დაავადებების მიმართ გამძლეობა:

იმვითად ავადდება მავნებელ-დაავადებებით. სიმწიფის პერიოდი: სიმწიფე იწყება ივნისის შუა რიცხვებში და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. საგემოვნო თვისებები: ტკბილი, სასიამოვნო გემოთი.

ჯიში - ჰიმბო ტოპი



Himbo Top

ჟოლოს რემონტატული ჯიშია, არ ითვლება საადრეო ჯიშად, მაგრამ საკმაოდ მაღალ მოსავლიანია. ნაყოფი ბაცი წითელია, ნაკლებად მკვრივი, საშუალო არომატით და ნაკლებად ტკბილი. კარგად უძლებს შენახვასა და ტრანსპორტირებას. მოსავლის კრეფა მიმნოდარეობს: აგვისტო, სექტემბერ, ოქტომბერში.

სანერგეებში არსებული „ჰიმბო ტოპის“ ჯიშის ნერგები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის

რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

ჯიში - პატრიცია



Patricia

წარმოშობა: უკრაინული ჯიში. ბუჩქის ფორმა: სწორნდგომი ოდნავ მოხრილი ღეროებით, მოითხოვს შპალერულ სისტემას. ყვავილობის პერიოდი: ივნისის დასაწყისი. ნაყოფის ფერი: ღია წითელი; ფორმა: კონუსური; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 6 -12 გრამი. რბილობი: ღია ვარდისფერი, მკვრივი, კარგი არომატით. მოსავლიანობა; მაღალ მოსავლიანი 10 -15 ტონა ჰექტარზე. დაავადებების მიმართ გამძლეობა: მავნებელ-დაავადებების მიმართ მგრძობიარე. სიმწიფის პერიოდი: ივლისის დასაწყისი, ერთჯერადად

მსხმოიარე. საგემოვნო თვისებები: ტკბილი, სასიამოვნო გემოთი.

მარწყვი

კენკროვან კულტურათა შორის მარწყვი მსოფლიოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კენკროვანი კულტურაა. მისი გემრიელი და არომატული ნაყოფი გამოირჩევა ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და სამკურნალო თვისებებით. იგი მდიდარია ვიტამინებით, ორგანული მჟავებით, ნახშირწყლებითა და მინერალური ნივთიერებებით. მარწყვის ნაყოფი ანტიოქსიდანტური თვისებებითაც გამოირჩევა. შეიცავს დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას (ვიტამინ C), ვიტამინ K-ს, ვიტამინ B6-ს, ფოლის მჟავას, მაგნიუმს და შაქრებს.


მარწყვის ჯიშები გამოირჩევიან დღის ხანგრძლივობის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით. მაის-ივნისში მსხმოიარე ჯიშებია: ელსანატა, კამაროსა, ჩენდლერი, მარმოლადა, კიმბერლი, ჰანეი, კლერი, ფესტივალი, ფორტუნა და სხვა. ნეიტრალურ- რემონტატული ჯიშებია: ტრიბუტი, ფერნი, ტრისტარი, სისკეიპი, სან-ანდრეასი, ალობიონი და სხვა, რომლებიც უპირატესად შემოდგომაზე მსხმოიარებენ.

ჯიშების დახასიათება:

Project name: Development of horticulture in Kakheti Region of Georgia

პროექტი: მეხილეობის განვითარება კახეთის რეგიონში

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



ჯიში - ალბიონი

წარმოშობა: ამერიკული ჯიშია. ბუჩქის ფორმა: საშუალო. ყვავილობის პერიოდი: მაისის დასაწყისი, ივნისი, ივლისი აგვისტო, სექტემბერი; ყვავილის ფორმა: თეთრი, მსხვილი. ნაყოფის ფერი: წითელი; ფორმა: კონუსისებური; ზომა: მსხვილი; ერთი კენკრის მასა 22-25 გრამი. რბილობი: ვარდისფერი, მკვრივი, წიპწიანი, ძლიერი არომატით; ხრაშუნა, მომჟავო სასიამოვნო გემოსი. მაღალ მოსავლიანი 15 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეა. სიმწიფის პერიოდი: აგვისტო.



ჯიში - სანანდრიასი

წარმოშობა: ამერიკული ჯიშია. ძირითადი მახასიათებლები არის ალბიონის ჯიშის მსგავსი. ნაყოფის ფერი: ოდნავ უფრო ბაცია ვიდრე ალბიონის, მოსავლიანობის რაოდენობა და მისი ხარისხი კი იდენტურია, მოსავლიანობას იწყებს მაისის ბოლოდან ნოემბრის ბოლომდე. კარგად იტანს ტრანსპორტირებას. ხარობს როგორც მზიან ასევე ჩრდილიან ადგილებში. კარგად იტანს დაბალ ტემპერატურებს. დაავადებებისა (კოლლექტრეში, ვერტიცილიუმი და ფიტოფტორა) და მავნებლების (ტკიპები) მიმართ მდგრადია.



ჯიში - მალინა-მარწყვი

წარმოშობა: ადგილობრივი ჯიშია, გამოვლენილია კახეთში. ბუჩქის ფორმა: სწორნდგომი. ყვავილობის პერიოდი: აპრილის ბოლო. ნაყოფის ფერი: მუქი წითელი; ფორმა: მრგვალი; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 13-17 გრამი; რბილობი: მუქი წითელი, მკვრივი, კარგი არომატით, ტკბილი, განსაკუთრებული, სასიამოვნო გემოთი; მაღალ მოსავლიანი 8 ტონა ჰექტარზე. იშვიათად ავადდება მავნებელ-დაავადებებით. სიმწიფის პერიოდი: მაისის ბოლო.



Portola

ჯიში - პორტოლა

წარმოშობა: ამერიკული ჯიშია. ბუჩქის ფორმა: მაღალი ბუჩქი. ყვავილობის პერიოდი: მაისი, ივნისი- ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. ნაყოფის ფერი: კრიალა, წითელი; ფორმა: კონუსისებური, მომრგვალო; ზომა: მსხვილი, ერთი კენკრის მასა 22-23 გრამი; რბილობი: ვარდისფერი, მკვრივი, წიპწიანი, ძლიერი არომატით; ტკბილი მომჟავო სასიამოვნო გემოთი. მაღალ მოსავლიანი 10-12 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლე. სიმწიფის პერიოდი: ზაფხული, შემოდგომა.



Kakheti 1

ჯიში - კახეთი 1

წარმოშობა: ადგილობრივი ჯიშია. ბუჩქის ზრდის სიძლიერე: ძლიერი ზრდის, დაბალი ბუჩქი. ფორმა: სწორნდგომი. ნაყოფის ფერი: წითელი; ფორმა: მომრგვალებულ კონუსური; ზომა: საშუალო, ერთი კენკრის მასა 12-15 გრამი; რბილობი: ღია ვარდისფერი, მკვრივი, კარგი არომატით, ტკბილი, სასიამოვნო გემოთი. მაღალ მოსავლიანი 10 ჰექტარზე. იშვიათად ავადდება მავნებელ-დაავადებებით. სიმწიფე იწყება აპრილის ბოლოს და გრძელდება 20 დღე.



Kakheti 2

ჯიში - კახეთი 2.

წარმოშობა: ადგილობრივი ჯიშია. ბუჩქის ზრდის სიძლიერე: საშუალო ზრდის; ფორმა: გაშლილი. ყვავილობის პერიოდი: აპრილის დასაწყისი. ნაყოფის ფერი: ღია წითელი; ფორმა: მომრგვალო კონუსური; ზომა: საშუალო, ერთი კენკრის მასა 10 -15 გრამი. რბილობი: ღია ვარდისფერი, კარგი არომატით, ტკბილი, არომატული, სასიამოვნო გემოთი. მაღალ მოსავლიანი 10 ტონა ჰექტარზე. მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლე. სიმწიფის პერიოდი: ივნისის დასაწყისი, ერთჯერადად მსხმოიარე.

მოცხარი

საქართველოში იზრდება მოცხარის 3 სახეობა: კლდის, აღმოსავლური და მთის. ნაყოფები შეიცავს შაქრებს, თავისუფალ მჟავებს, პეტრინოვან, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, P, B, და A ვიტამინებს, განსაკუთრებით მდიდარია C ვიტამინით, თუმცა ამ მხრივ ჩამორჩება ასკილსა და აქტინიდიას. მოცხარის თანამედროვე კლასიფიკაცია აერთიანებს 190-მდე მის სახეობას და თითოეული მათგანი გამოირჩევა განსაკუთრებული თვისებებით. განსაკუთრებულად საინტერესო და მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის:



ფლავისმანური

თეთრი საადრეო

ღმანისური

ყვითელი თბილისური

ჯიშების დახასიათება:

ჩვენი პროექტის ფარგლებში თურქეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ახალი პერსპექტიული ჯიში, რომელთაგანაც წინასწარი შეფასებით ყურადღებას იმსახურებს:



Jonker van Tets

ჯიში - ჯონკერ ვან ტეტსი

წარმოშობა: ჰოლანდიური ჯიშია. კომპაქტური ბუჩქია, არაუმეტეს 1,5 მ-ის სიმაღლისა, ძლიერი ზრდის. ყვავილობს მაისში. მუქი წითელი ფერის, მრგვალი, მტავნისებური. ნაყოფი მსხვილია, ძალზე გემრიელი, ტკბილი და წვნიანი, ერთი კენკრის მასა 0,7- 0,8 გრამი, მტევნის ზომა 8-10 სმ. რბილობი: ღია ვარდისფერი, მკვრივი, კარგი არომატით, მომყავო, სასიამოვნო გემოთი. მავნებელ-დაავადებების მიმართ მგრძობიარეა. მაღალ მოსავლიანი 8 -10 ტონა ჰექტარზე. მოსავლის კრეფა ადვილია. გამოიყენება როგორც სასუფრედ, ასევე სხვადასხვა

დანამზღვევით გადამუშავების შედეგად. მოსავალი იკრიფება აგვისტოს თვის განმავლობაში.

თხილი



თხილი

(Corylus) - ფოთლოვანი ბუჩქების, იშვიათად ხეების გვარი თხილისებრთა

ან ფართო გაგებით, არყისებრთა ოჯახისა. მტვრიანებიანი ყვავილები უყვავილსაფროა და მჭადა ყვავილედადა შეკრეფილი, ბუტკოიანი ყვავილები კვირტშია ჩამალული და გარეთ მხოლოდ დინგოები აქვს გამოყოფილი. თითოეული ყვავილის ირგვლივ ვითარდება სამ-სამი ურთიერთმეზრდილი თანაყვავილელი, რომელიც ნაყოფის მომწიფებისას დიდდება და სხვადასხვა ფორმის ნაყოფსაფარს (ბუდეს) ქმნის. ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია. გვარი 20-მდე სახეობას წარმოადგენს, რომლებიც გავრცელებულია ევროპის, აზიის და ჩრდილოეთ ამერიკის ფოთლოვანი ტყეების ზონაში. საქართველოში ტყეებში ზღვის დონიდან 1500-1800 მ-მდე ბუნებრივად იზრდება თხილის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana) ბუჩქი ან 8 მ-მდე სიმაღლის ხეა, გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება ქვეტყედ მუხნარებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყეებში, სუბალპურ მეჩხერში. ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებერვალ-მარტში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერში. ერთი ბუჩქიდან 3 კგ-ზე მეტი მოსავალი მოდის. მრავლდება თესლით, ძირკვისა და ფესვის ამონაყარით, იშვიათად გადაწვენით. ცოცხლობს 70-80 წელს. დეკორატიულია. იყენებენ დერდობების გასატყიანებლად. ერთ-ორ წლიან ღეროს - წნელად, კალათების, გოდრების, ლახტების დასაწნავად. დათვისთხილა და *პონტოური თხილი* (Corylus pontica) იზრდება გურიასა და აჭარაში; *იმერული თხილი* (Corylus imeretina), *კოლხური თხილი* და *კახური თხილი* (Corylus cachetina) საქართველოს ენდემებია.

თხილის გული შეიცავს 5 %-მდე წყალს, 60-70 % ცხიმს, 15-16 % ცილებს. მას მაღალი კვებითი ღირებულება აქვს, კალორიულობით იგი 2-3 ჯერ აჭარბებს ხორბალს, 3-5-ჯერ ხორცს. ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობასა და ტექნიკაში უმაღლესი ხარისხის საპოხი ზეთების მისაღებად. მისი სასაქონლო-საექსპორტო პროდუქტის დადებითი მხარეა ვარგისიანობის ხანგრძლივი ვადა, მაღალი ტრანსპორტაბელობა. თხილის კულტურის განვითარების ართ-ართ კერად ითვლება შავი ზღვის სანაპირო, მცირე აზიის ქვეყნები. საქართველოში თხილი მაღალ მოსავალს იძლევა კოლხეთის დაბლობის ზონაში.

ჯიშების დახასიათება:



Anakliuri

ჯიში - ანაკლიური

წარმოშობა: ადგილობრივი, დასავლეთ საქართველო, სამეგრელოს რეგიონი. ბუჩქი ძლიერი ზრდისაა; ფორმა: პირამიდული სქელი, ხშირად დატოტილი ვარჯი. ყვავილობს დეკემბერი - თებერვალი. ნაყოფი: მრგვალი, ნაყოფედში ნაყოფების რაოდენობა 3-4 ცალია, საბურველიდან ადვილად ვარდება, ნაჭუჭის სისქე 1,0-1,1 მმ; ზომა: 21*21*19 მმ სიდიდის; მასა: 2,3-2,4 გრამი; გულის გამოსავლიანობა: 52-53 %; ცხიმის შემცველობა: 66-68 %. მოსავლიანობა 4,5-5,5 კგ ხეზე. შედარებით მიმღებია მავნებელ-დაავადებების მიმართ. კრეფის

პერიოდი: ივლისის ბოლო - აგვისტოს პირველი ნახევარი (სამეგრელოს ზონა). ძირითადი სამრეწველო ჯიშია სამეგრელოს და აფხაზეთის რაიონებისათვის. უკანასკნელ წლებში პოპულარობა მოიპოვა კახეთის რეგიონში.

საძირეები

1. „ბროკფორესტი“ - ეს არის წვრილს კურკოვანი ხეხილის საუკეთესო საძირე. იგი არის ტოლერანტული გვალვასა და ჭარბ ტენიანი ნიადაგების მიმართ. განკუთვნილია მძიმე, თიხნარი ნიადაგებისთვის. შეიძლება გამოყენებულ იქნას 5 მ x 4 მ ან 5 მ x 3 მ ხეხილის დარგვის ინტერვალით. ამ ტიპის საძირეზე ძირითადად ამყნობენ სხვადასხვა ჯიშების ბალი, ალუბალი. ამ საძირეზე დამყნობისას ხეხილი რამდენიმე წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას.


„ბროკფორესტის“ კლონებია „CAB 6P“ და „MaxMa 14“. ქვემო მოცემულია სქემა, რომელზეც ნათლად ჩანს რა ზეგავლენა აქვს ხეების სიმაღლეზე ამ საძირეებს. „ბროკფორესტის“ („CAB 6P“ და „MaxMa 14“) საძირეებზე დამყნობილი ხეხილის სიმაღლე შეადგენს ხეხილის ხის საწყისი სიმაღლის 60 %-ს. მიუხედავად ამისა, სრული აგროტექნიკის პირობებში, მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი, - არ კლებულობს.



სანერგეებში არსებული „ბროკფორესტის“ ჯიშის საძირეები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

2. „მრობოლანი ბ“ - გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ნიადაგებზე, ტოლერანტულია კალციუმის ნაკლებობისადმი. უზრუნველყოფს უზემოსავლიანი ძლიერი ხეების ზრდას. მდგრადია ნემატოდებით დაზიანებისაგან. ხეხილის დარგვა შესაძლებელია ამ სქემებით 5 მ x 4 მ ან 5 მ x 5 მ-ზე. ამ ტიპის საძირეზე ძირითადად ამყნობენ სხვადასხვა ჯიშების ქლიავს და გარგარს. ასევე შესაძლებელია ალუჩის, ტყემლისა და ალუბლის დამყნობა. ამ საძირეზე დამყნობისას ხეხილი 2-3 წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას.

ქვემო მოცემულია სქემა, რომელზეც ნათლად ჩანს რა ზეგავლენა აქვს ხეების სიმაღლეზე ამ საძირეებს. „მირაბოლან ბ“ საძირეებზე დამყნობილი ხეხილის სიმაღლე შეადგენს ხეხილის ხის საწყისი სიმაღლის 55 %-ს. მიუხედავად ამისა, სრული აგროტექნიკის პირობებში, მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი, - არ კლებულობს.



სანერგეებში არსებული „მირაბოლან ბ-ს“ ჯიშის საძირეები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.


3. „ტყემლის საძირე“ - ყველაზე გავრცელებული საძირეა თურქეთის, ხმელთაშუა ზღვის აუზის სანაპიროს ქვეყნებისათვის. გამოირჩევა ძლიერი ზრდით როგორც მძიმე და ტენიან ნიადაგებზე, ასევე მსუბუქ და ფხვიერ გრუნტზე. საკმაოდ გამძლეა გვალვისა და დაავადებებისადმი. ხეხილის დარგვა შესაძლებელია ამ სქემებით 7 მ ან 8 მ x 7 მ-ზე. ამ ტიპის საძირეზე ძირითადად ამყნობენ სხვადასხვა ჯიშების ქლიავს, ნაკლებად - ატამს. ამ საძირეზე დამყნობისას ხეხილი 1-2 წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას.

სანერგეებში არსებული „ტყემლის“ ჯიშის საძირეები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

4. „GF 677“ - ევროპაში ფართოდ გავრცელებული საძირეა. გამოიყენება ხეხილის ზრდისათვის მშრალ და კირიან (კირის აქტივობა 11%) ნიადაგებზე. არაა რეკომენდირებული თიხიანი და მძიმე ნიადაგებისათვის. საძირე უზრუნველყოფს ხილის მაღალ მოსავალს. ხეხილის დარგვა რეკომენდირებულია სქემით 4 მ X 5 მ. ამ ტიპის საძირეზე ძირითადად ამყნობენ სხვადასხვა


ჯიშების ატამსა და ვაშლატამას (ნექტარინს). ამ საძირეზე დამცნობისას ხეხილი 1-2 წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას.

ქვემო მოცემულია სქემა, რომელზეც ნათლად ჩანს რა ზეგავლენა აქვს ხეების სიმაღლეზე ამ საძირეებს. „GF 677“ საძირეებზე დამცნობილი ხეხილის სიმაღლე შეადგენს ხეხილის ხის საწყისი სიმაღლის 70 %-ს. მიუხედავად ამისა, სრული აგროტექნიკის პირობებში, მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი, - არ კლებულობს.



სანერგებში არსებული „GF 677-ის“ ჯიშის საძირეები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

5. „GN 15 გარნემი“ – უფრო ძლიერია, ვიდრე „GF 677“. საძირეები მდგრადია ნემატოდების წინააღმდეგ. იგი ვითარდება ისევე, როგორც „Nemaguard“-ი. მცნობა შესაძლებელია განხორციელდეს დარგვის ადგილზევე, საძირის ნიადაგიდან ამოღების გარეშე. იგი ასევე იყენებს მძიმე ნიადაგებს. ამ საძირეებზე დამცნობილი ხეხილის დარგვა რეკომენდირებულია სქემით 5 x 4.5 მ. ამ ტიპის საძირეზე ძირითადად ამცნობენ სხვადასხვა ჯიშების ატამსა და ვაშლატამას (ნექტარინს). ამ საძირეზე დამცნობისას ხეხილი რამდენიმე წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას. ქვემო მოცემულია სქემა, რომელზეც ნათლად ჩანს რა ზეგავლენა აქვს ხეების სიმაღლეზე ამ საძირეებს. „GN 15 გარნემი“ საძირეებზე დამცნობილი ხეხილის სიმაღლე შეადგენს ხეხილის ხის საწყისი სიმაღლის 60 %-ს, „GF 677“-თან შედარებით კიდე 10 %-ით დაბალია. მიუხედავად ამისა, სრული აგროტექნიკის პირობებში, მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი, - არ კლებულობს.



სანერგეებში არსებული „GN 15-ის“ ჯიშის საძირეები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.

6. „ხურმის საძირე“ - გამოყვანილია ველური ხურმის ჯიშებიდან. გამოიყენება ყველა ტიპის ნიადაგებისათვის და მხოლოდ ხურმის სხვადასხვა კულტურული ჯიშების დამცნობის მიზნით. ამ საძირეზე დამცნობისას ხეხილი 1-2 წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას. საძირეზე დამცნობილი ხურმის ხე არის გამძლე მავნებელ-დაავადებებისადმი, უკეთ იტანს კლიმატურ კატაკლიზმებს. საძირეზე დამცნობისას ხურმის ხე რამდენიმე წლით ადრე იწყებს მსხმოიარობას. სანერგეებში არსებული „ხურმის“ ჯიშის საძირეები სერტიფიცირებულია თურქეთის რესპუბლიკის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სამინისტროს სარგავი მასალის რეგისტრაციის და სერტიფიცირების დეპარტამენტის მიერ.



პროექტის ფარგლებში დაფინანსებული სანერგე მეურნეობები



1. რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გილე“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქ. გურჯაანი, შ. ნუცუბიძის ქ. #4; ტელ: 599 781445 - ყოლო, მაყვალი, მარწყვი, მოცხარი
2. ინდივიდუალური მეწარმე „ვაჟა რუაძე“ - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუმლაყი, მე-17 ქუჩა #3; ტელ: 599 222599 - ბალი, ალუბალი, ქლიავი, გარგარი, ნუში, ვაშლატამა, ატამი, ლელვი, ბროწეული, წაბლი, ხურმა
3. ინდივიდუალური მეწარმე „ისაბალ სოლოლაშვილი“ - საქართველო, ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი გავაზი; ტელ: 599 985082 - ბალი, ალუბალი, ქლიავი, ტყემალი, ალუჩა, ხურმა, ლელვი, ბროწეული,
4. ინდივიდუალური მეწარმე „დავით ახალბედაშვილი“ - ყვარლის მუნიციპალიტეტი, ქ. ყვარელი, ჩოლოყაშვილის ქ. 3; ტელ: 551 592131, 599 903085 - თხილი, ნუში, ბროწეული, ყოლო, მაყვალი, ქლიავი, ხურმა, მარწყვი, ბალი, ლელვი, წაბლი.